ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

შაბათი – კვირა, 6 – 7 აპრილი, 2019 | №81 (8035) | ფასი: 60 თეთრი

## ცხინვალს პოლიტიკურ-სექსუალურმა სკანდალმა გადაუარა





გვ.2

5 აპრილიდან

„50 ცნობილი ქართველი ქალის 300 რეცეპტი“

წიგნი A4 ფორმატისაა, აქვს მაგარი ყდა, დაბეჭდილია ცარცის ქაღალდზე და მთლიანად ფერადია

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი




# „ირაკლი ღარიბაშვილის სიაში პირველ ნომრობაზე „ოცნებაში“ მსჯელობა არ ყოფილა“




## გიორგი კახიანი: „მინისტრების სიარული პარლამენტში კიდევ უფრო ინტენსიური გახდება“

გვ.3





გვ.2

## დავით ჭიჭინაძე: „გოჭის თავს რომ ჩამოატარებენ სუფრაზე, ისე ჩამოგვიტარეს მინისტრები პარლამენტში“

## მიდის თუ არა გახარია მოსკოვში



გვ.3

## ნინო გვენეტაძე მოსამართლეთა კლანისთვის მიუღებელი აღმოჩნდა



გვ.6



გვ.4

## დიმიტრი შაშკინი: „იზოლირებისგან ვერ მოვისმინე, როგორ აპირებს ქვეყნის უსაფრთხოების დაცვას“

## გამოსაშვები გამოცდების გაუქმების კანონპროექტი პარლამენტში ჩავარდა

სერგო რატიანი: „ეს მიდგომა სრულიად გაუგებარი, გაუაზრებელი იყო“



გვ.5

### სამართალი

გვ.7



## „ბარსელონაში ქართველები ამ დღეში ზალკალიანმა ჩაგვყარა“



## ეკა ქვლივიძე 28.000 ლარით აღარ დაჯარიმდება

რაზე შეთანხმდნენ მფრინავი ქალი და თავდაცვის სამინისტრო



## „დავით ბაგრატიონი დაკითხვაზე უნდა დაებარებინათ“

### ეკონომიკა

გვ.6

## „ბატონო კახა, თქვენ როგორც ფეხით, ისე მანქანით მოსიარულე თბილისელების მერი ხართ!“



## პარლამენტმა აზარტული და მომგებიანი თამაშების რეკლამის აკრძალვის შესახებ კანონპროექტს მხარი არ დაუჭირა



## „მე არ ვიცი, რა არის ეროვნული ბანკის ოპტიმიზმის განსაკუთრებული მიზეზი“



ISSN 1987-9385
9 771987 938006

**5** ყველაზე „მტაცებელი“ ქართული ბანკების ხუთეული

**4** „ფქვილის და პურის გაძვირება მნიშვნელოვნად განაპირობა რუსეთის ბაზარზე დამოკიდებულებამ“

**5** ოკუპირებულ აფხაზეთში ქართველებს ქონების მემკვიდრეობის უფლებასაც ართმევენ

**4** მთაწმინდის, დიდუბის, ჩუღურეთისა და გლდანის რაიონებში 1126 ავარიული კორპუსია აღრიცხული

# დავით ჭიჭინაძე: „გოჭის თავს რომ ჩამოატარებენ სუფრაზე, ისე ჩამოგვიტარეს მინისტრები პარლამენტში“

შორენა მარსაგიშვილი



**სამი-ოთხი საათი ადამიანს კითხვებს ვუსვამთ, შეზღუდულ დროში ვცდილობთ მოსახლეობის კითხვების მაქსიმალური კონცენტრაცია მოვახდინოთ და საბოლოო ჯამში, საზრიანთა კლუბში კაპიტნების შეჯიბრი რომ არის – შეიკრიბებიან ერთ წუთში სათათბიროში და რაღაც პასუხები უნდა გასცენ, ისე დადგებიან, მერე გამოვლენ და აქ ხუმრობისთვის არიან მოსულები მგონი.**

საქართველოს პარლამენტს დაპირისპირების მორიგმა მცირე ტალღამ გადაუარა. ოლიმპიური ჩემპიონი და „ოცნების“ დეპუტატი შოთა ხაბარელი „ოცნებიდან“ წასულ დავით ჭიჭინაძეს დაუპირისპირდა. ამ უკანასკნელმა ყოფილი თანაპარტიელები ფრიად გაანაწყენა.

მმართველი გუნდიდან წასულმა მინისტრების პარლამენტში სიარული სუფრაზე გოჭის თავის ჩამოტარებას შეადარა.

მოგეხსენებათ, რომ პარლამენტში მთავრობის წევრების მოსმენის ჟამმა ჩამოჰკრა. ამ ჟამის ფარგლებში იყო საკანონმდებლო ორგანოში მისული ეროვნული ბანკის პრეზიდენტი კობა გვენეტაძეც.

მასთან კანონმდებლებს ბევრი კითხვა ჰქონდათ. კითხვები ჰქონდა დავით ჭიჭინაძეს. მან დასვა კიდეც კითხვა, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო და ამის გამო მრისხანებაში ჩავარდა.

მან რჩევა პარლამენტის თავმჯდომარეს ჰკითხა – გვითხარი, რა გავაკეთოთ, როცა ჩვენს კითხვებზე პასუხებს ვერ ვიღებთო.

– სამი-ოთხი საათი ადამიანს კითხვებს ვუსვამთ, შეზღუდულ დროში ვცდილობთ მოსახლეობის კითხვების მაქსიმალური კონცენტრაცია მოვახდინოთ და საბოლოო ჯამში, საზრიანთა კლუბში კაპიტნების შეჯიბრი რომ არის – შეიკრიბებიან ერთ წუთში სათათბიროში და რაღაც პასუხები უნდა გასცენ, ისე დადგებიან, მერე გამოვლენ და აქ ხუმრობისთვის არიან მოსულები მგონი.

ნახევარ კითხვებს პასუხს არ სცემენ, ნახევარს – როგორც თვითონ ჩათვლიან საჭიროდ და წყვეტენ – გაგვცენ თუ არა პასუხი. მე მქონდა კონკრეტული კითხვა, რომელიც მოსახლეობას ძალიან ადარდებს და პასუხი ვერ მივიღე. ამიტომ რა ქმედებაზე უნდა გადავიდეთ? შეფასება ამათ არ აქვთ, ორიანი რომ დავუწეროთ. გამოდის, რომ ისევ და ისევ გოჭის თავს რომ ჩამოატარებენ სუფრაზე, ისე ჩამოგვიტარებთ ამ მინისტრებს, ეროვნული ბანკის პრეზიდენტს და ვამთავრებთ ამ ჩვენს სხდომებს მხიარულად. მერე იძახით, რომ მაგარი ეფექტური სხდომები გვაქვსო, – განაცხადა დავით ჭიჭინაძემ.

კობა გვენეტაძის გამო მას შელაპარაკება მოუხდა შოთა ხაბარელთან. კამათის მიზეზი პროცედურული საკითხები გახდა.

ნამდვილი დაპირისპირება მას შემდეგ მოხდა, რაც ხაბარელმა უმრავლესობიდან გასული დეპუტატები მავნებლობაში დაადანაშაულა.

– უკვე ყველა ზღვარს გადაცდა აქ არსებული სიტუაცია. ეს არის მიზანმიმართული მავნებლობა, რასაც ჩვენ ჩვენი ოპონენტების მხრიდან ვხედავთ. სამწუხაროა, მაგრამ „ნაციონალურ მოძრაობაზე“ უფრო მეტს აკეთებენ და მავნებლობენ ჩვენგან არცთუ ისე დიდი ხნის წინ გასული კოლეგები. ეს არის ყველაზე ცუდი. ჩვენ აქ ვართ, რომ ვაკეთოთ საქმე. მოსულია ბანკის მმართველი და მას უნდა მოვუსმინოთ. ამას უყურებს საზოგადოება და ასეთი მავნებლობა არ გაგივათ არავითარ შემთხვევაში. თქვენ აღარაფერს აღარ იცავთ. ამათ ნუ დაემსგავსებით, ძალიან გთხოვთ. მათ ისედაც ავნეს ქვეყანას, დაანგრიეს, გააფუჭეს და თქვენც ნუ აუბამთ მხარს, ძალიან გთხოვთ, – აღნიშნა აღშფოთებულმა ხაბარელმა.

დავით ჭიჭინაძემ განრისხებულ კოლეგას სიმშვიდისკენ მოუწოდა და რჩევაც მისცა, თუ როგორ დაიმშვიდოს თავი..

– ნუ გაბრაზდები, ძალიან გთხოვ, ცივი წყალი ბევრია ონკანში, ყველგან. დიდხანს უნდა გაგრძელდეს ეს პროცედურა? დააპაუზეთ, – განაცხადა „ოცნებიდან“ წასულმა.

# ცხინვალს პოლიტიკურ-სექსუალურმა სკანდალმა გადაუარა

შორენა მარსაგიშვილი







ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მთავრობა აშკარად ქართულ რელსებზეა აწყობილი. საკმარისია საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე რამე მოხდეს, რომ თავადაც იგივეს იმეორებენ.

ჩვენში უკვე წლებია ფეხი მოიკიდა სექსუალური სახის პოლიტიკურმა სკანდალებმა. პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელებას აქ ბოლო არ უჩანს. ცხინვალელი ოსები ჯერ ამ დონემდე არ აღზევებულან, მაგრამ ამტკიცებენ, რომ სექსი და პოლიტიკა, გნებავთ პოლიტიკური სექსი, მათი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია.

ივნისის თვეში აქ საპარლამენტო არჩევნები ტარდება და პოლიტიკოსების სექსუალური თავგადასავლები უფრო აქტუალური გახდება. და ვინ იცის, სამხრეთელმა ოსებმა შესაძლოა თავიანთი პოლიტიკოსების პირადი ცხოვრების ამსახველი კადრებიც ატვირთონ ინტერნეტში. ამ ეტაპისთვის პოლიტიკური სექსები აქ თხრობით ფორმაშია აქტუალური.

სექსუალურ-პოლიტიკურ სკანდალებზე ჩვენში რამდენიმე წელი მორატორიუმი იყო გამოცხადებული. ამით ისარგებლეს ოსებმა და გასული წლის ზაფხულში პარლამენტის წევრს აუგორეს სექსუალური სკანდალი. ამ სკანდალის შესახებ „ახალი თაობაც“ წერდა.

გასული წლის ზაფხულში ოსურმა მედიამ გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დეპუტატ ბახვა თედეევს არასრულწლოვან გოგონასთან ჰქონდა სექსუალური კავშირი.

ბახვა თედეევი ჩვენი საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი. საბჭოთა კავშირის დაშლამდე ცოტა ხნით ადრე, ის თბილისის „დინამოში“ თამაშობდა.

ქართულმა სკოლამ მასზეც აშკარა გავლენა იქონია და დიდი სპორტიდან პოლიტიკაში წავიდა. მართალია დიდ პოლიტიკაში მოხვდა, მაგრამ თავად თავს ბედნიერად თვლის – ადგილობრივ პარლამენტში ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტს უდგას სათავეში.

ახალგაზრდობასთან ურთიერთობისას გაუმიჯნურდა ეტყობა 14 წლის გოგონას. ოსური მედიის ინფორმაციით, სწორედ 14 წლის მოზარდთან ჰქონდა კავშირი 49 წლის ბახვა თედეევს.

მათი რომანის შესახებ შემთხვევით გახდა ცნობილი. შეყვარებულებმა ბუნებაში გადაწყვიტეს გასეირნება, სადაც რაღაც გაუგებრობა შეემთხვათ და იქიდან სასწრაფო დახმარების მანქანით გამოიყვანეს ოსი რომეო და ჯულიეტა.

ოსური მედიის მტკიცებით, ამბავი რომ დაემალათ, დაზარალებულები რუსული სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე არსებულ საავადმყოფოში მიიყვანეს.

ამბავი მაინც გავრცელდა და ოსების დიდი აღშფოთება გამოიწვია. ბახვა თედეევმა პარლამენტისგან მოითხოვა სპეციალური კომისიის შექმნა. კომისიის შექმნას მხარი დაუჭირა აქაური პარლამენტის სპიკერმაც.

ეს უკანასკნელი ცოტა ხნის წინ თავად გაეხვია სექსუალურ სკანდალში. ასეთივე დღეში არიან მათი პრეზიდენტი ანატოლი ბიბილოვი და მმართველი პარტიის – „ერთიანი ოსეთის“ ლიდერი ალან ტადტაევი.

აცცენტნეწს-ის ინფორმაციით, ტადტაევს, რომელიც მმართველი პარტიის თავმჯდომარე და ამავე დროს საგანგებო სიტუაციების მინისტრია, ცოლმა და შვილმა ღალატისთვის სამაგიერო დემონსტრაციულად გადაუხადეს.

მედიაში და სოციალურ ქსელებში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ტადტაევის ცოლი და შვილი სამინისტროში სამუშაო საათებში მივიდნენ.

მინისტრის შვილი ფიზიკურად გაუსწორდა დედის მოღალატე მამის ერთ-ერთ თანამშრომელ ქალს, რომელიც ტადტაევთან ურთიერთობაშია შემჩნეული.

რაც შეეხება მეუღლეს, სოციალურ ქსელში გავრცელებული ინფორმაციით, მან ნახსენებ ქალს სახე სამართებლით დაუსერა.

სერიოზული სკანდალი ბიბინებს აქაური მთავარი კანონმდებლის, პეტრ გასიევის გარშემოც.

სოციალურ ქსელებში გავრცელებული ინფორმაციით, მას მგზნებარე რომანი აქვს თანაპარტიელ ქალთან. ეს ქალი ოსთა პარლამენტის სპიკერისგან თურმე შვილსაც ელოდება.

სოციალურ ქსელებს თუ დავუჯერებთ, მგზნებარე რომანი ჰქონია ამათ პრეზიდენტ ანატოლი ბიბილოვსაც.

მისი მეგობარი გოგონას შესახებ მთელმა ცხინვალმა იცის. ეს გოგონა თავად არ მალავს პრეზიდენტთან მიჯნურობას. საუბარია ალანა ბიოდროვაზე, რომელიც ბიბილოვზე ბევრად ნორჩია.

ოსები სოციალურ ქსელებში წერენ, რომ ბიბილოვი გოგონასთან ერთად ხშირად ჩნდება სხვადასხვა ღონისძიებებზე. თავად ალანა ბიოდროვა კი საერთო ფოტოებს სოციალურ ქსელში აქვეყნებს.

საპარლამენტო არჩევნებამდე აქ 2 თვეა დარჩენილი და ეს სკანდალები უფრო მწვავე სახეს მიიღებს.

არაა გამორიცხული, რომ ქართველების გამოცდილებაც გაითვალისწინონ და პირადი ცხოვრების ამსახველი კადრებიც გაავრცელონ.

## ლომარ ნიგურიანის მკვლელობისთვის მამუკა ნიგურიანს 13 წელი მიესაჯა

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ლომარ ნიგურიანის მკვლელობაში ბრალდებულ მამუკა ნიგურიანს დაუსწრებლად 13 წლით პატიმრობა მიუსაჯა.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრი ცეცხლსასროლი იარაღით მესტიაში, საკუთარ ეზოში 2017 წლის 25 დეკემბერს მოკლეს.

ბრალდებული ამ დრომდე არ დაუკავებიათ.

5 აპრილის პროცესს, სასამართლო სხდომის დროის გადაწევის გამო, ბრალდებულის ოჯახის წევრები ვერ დაესწრნენ, რასაც მათი უკმაყოფილება მოჰყვა.

## წყალწმინდაში ბმვ ჯერ სატვირთოს შეეჯახა, შემდეგ — ჯიპს

### მძღოლი დაიღუპა

წყალწმინდაში ერთმანეთს 3 ავტომობილი შეეჯახა.

წინასწარი ინფორმაციით, ბმვ-ს მარკის ავტომობილმა მოსახვევში საჭე ვერ დაიმორჩილა, ჯერ სატვირთო ავტომანქანას შეეჯახა, შემდეგ კი – პრადოს მარკის ჯიპს.

ბმვ-ს მძღოლი ადგილზე გარდაიცვალა. არიან დაშავებულებიც, რომლებიც სასწრაფო დახმარების ჯგუფებმა კლინიკაში გადაიყვანეს.

მომხდარ ფაქტზე შსს-მ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ირაკლი ღარიბაშვილის სიაში პირველ ნომრობაზე „ოცნებაში“ მსჯელობა არ ყოფილა“

## გიორგი კახიანი: „მინისტრების სიარული პარლამენტში კიდევ უფრო ინტენსიური გახდება“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ წევრი, პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი კახიანი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში გამოსაშვები გამოცდების გაუქმების კანონპროექტის ჩავარდნასა და სხვა საკითხებზე საუბრობს.

**გიორგი კახიანი:**

– რატომ ვერ მოაგროვა კანონპროექტმა ხმების საჭირო რაოდენობა, ჩემთვის არ არის ცნობილი. არიან დეპუტატები, რომლებსაც აღნიშნული კანონპროექტისთვის მხარდაჭერა უნდოდათ, მაგრამ, როგორც ჩანს, უყურადღებობით მათ ეს ვერ მოახერხეს. არიან ისეთი დეპუტატებიც, რომლებიც აცხადებენ, რომ მათ კანონპროექტს ხმა მისცეს, მაგრამ რატომღაც ეს ვერ აისახა. სხვა მხრივ რა შეიძლება მიზეზი იყოს, არ ვიცი. თუმცა ფაქტია, რომ კანონპროექტმა ხმათა საჭირო რაოდენობა ვერ მიიღო.

მიუხედავად ამისა, შესაძლებელია, მესამე მოსმენით ჩავარდნილ კანონპროექტზე კენჭისყრა განმეორებით ჩატარდეს.

***– ერთი თვის ვადაში.***

– დიახ, ეს შესაძლებელია ერთი თვის განმავლობაში, რაც გულისხმობს იმას, რომ თეორიულად შესაძლებელია, კანონპროექტი განმეორებით კენჭისყრაზე დღესვე დადგეს. რამდენადაც მე ვარ ინფორმირებული, მთავრობა აუცილებლად დააყენებს ამ ინიციატივას განმეორებით.

***– ანუ თქვენ ამბობთ, რომ კანონპროექტი გავა და მოსწავლეებს გამოსაშვები გამოცდები გაუუქმდებათ?***

– მე როგორც ვიცი, ამ კანონპროექტს გასვლის პრობლემა არ უნდა ჰქონდეს. ორი კვირის შემდეგ პლენარული სხდომებია და ეს საკითხი აუცილებლად დადგება განმეორებით კენჭისყრაზე. დარწმუნებული ვარ, რომ ამ კანონპროექტს მხარდაჭერა ექნება. პოლიტიკური მხარდაჭერა აქვს, მაგრამ ხმების საჭირო რაოდენობა ვერ მოაგროვა.

***– სერგო რატიანი ამბობს, ისევ მწვანე და წითელი ღილაკები აერიათო. მართლა შეიძლება, ეს მიზეზი იყოს?***

– ბუნებრივია, ეს არაფერ კავშირში არ არის ამ შემთხვევაში.

***– დეპუტატები ხშირად სხდომათა დარბაზში აკუსტიკას უჩივიან, რომ მათ არ ესმით, რა საკითხი განიხილება. მართლაც არის აკუსტიკის პრობლემა სხდომათა დარბაზში?***

– დიახ, შემიძლია დაგიდასტუროთ, რომ ეს პრობლემა არის. უკეთესი იქნებოდა, უფრო გამართული აკუსტიკა ყოფილიყო. მაგალითად, ქუთაისის სხდომათა დარბაზში ბევრად უკეთესი აკუსტიკა იყო, ვიდრე აქ არის.

***– კვიციანმა დეპუტატებს 100 ლარის შეგროვებისკენაც მოუწოდა. რატომ ვერ ხდება გამართვა?***

– ეს საკითხი რომ გამოსწორდეს და პრობლემა მოიხსნას, საჭიროა დრო. თუმცა, ეს პრობლემა დღის წესრიგშია და მოგვარდება. როგორც ვიცი, გარკვეული შუალედია საჭირო, რომ სხდომები არ ტარდებოდეს და სწორედ ამ დროს გაიმართოს ტექნიკურად დარბაზი. მომდევნო პლენარული სხდომებისთვის საკითხი მოგვარდება.

***– რეგლამენტის გამკაცრებაზე მინდა გკითხოთ. პარლამენტში ძალიან დიდი ხნის განმავლობაში უნახავი დეპუტატები გამოჩნდნენ. რეგლამენტის გამკაცრებამ იმუშავა?***

– ფაქტია და ამას საზოგადოება ხედავს, რომ პარლამენტის ადგილმდებარეობის შეცვლამ რადიკალურად განსხვავებული სურათი მოგვცა. მათ შორის ვგულისხმობ პარლამენტის წევრთა აქტიურობასაც.

ქუთაისში კვორუმი ვერ გროვდებოდა, რათა პლენარული სხდომა უფლებამოსილი ყოფილიყო, მუშაობა დაეწყო. ამისთვის 76 დეპუტატის ადგილზე ყოფნაა საჭირო. დეპუტატების ეს რაოდენობა ვერ გროვდებოდა. მას შემდეგ, რაც თბილისშია პარლამენტის ადგილსამყოფელი, დაახლოებით 120-125 დეპუტატი გადის რეგისტრაციას.

ერთი მხრივ, ეს განაპირობა პარლამენტის თბილისში გადმოტანამ და, მეორე მხრივ, სანქციებმაც იმუშავა. რეგლამენტი გამკაცრდა სხდომაზე პარლამენტის წევრთა დასწრების თვალსაზრისითაც.

***– ბევრ დეპუტატს ჩამოეჭრა ხელფასი?***

– თებერვალში 4 თუ 5 პარლამენტის



წევრი იყო, რომელსაც სანქციები შეეხო.

***– დაგვიანებაზეც არის? მაგალითად, აკაკი ბობოხიძე აპროტესტებდა, რომ 5 წუთის დაგვიანების გამო პრობლემა შეექმნა.***

– არა, 5 წუთის დაგვიანების გამო სანქცია არ ამოქმედდება. თუმცა, ფაქტია, რომ სანამ ახალი რეგლამენტი ამოქმედდებოდა, ქუთაისში 1 საათი ვიჯექი ხოლმე სხდომათა დარბაზში და კვორუმი ვერ გროვდებოდა. დღეს ეს პრობლემა აღარ არის, ყველა ცდილობს, 12 საათზე რეგისტრაცია გაიაროს და არ დაიგვიანოს.

***– კონსტიტუციის ახალი რედაქციის ამოქმედების შემდეგ პარლამენტში მინისტრები მოდიან და ანგარიშს გაბარებენ. ეს არის მხოლოდ ფორმალობა თუ რეალურად გრძნობენ მაკონტროლებლის წინაშე ანგარიშვალდებულებას?***

– შემიძლია დაგიდასტუროთ, რომ ამ თვალსაზრისითაც გაუმჯობესებული მდგომარეობაა. არ გაივლის პლენარული სხდომის დღე, რომ მინისტრი არ იყოს პარლამენტში მოსული.

საპარლამენტო კონტროლის ფარგლებში მინისტრების მოსვლა პარლამენტში ძალიან გააქტიურდა. 2 დღის წინ თავდაცვის მინისტრი იყო მოსული, ცოტა ხნის წინ კი იუსტიციის, რეგიონული განვითარების მინისტრები იყვნენ. ბოლო 12 წლის განმავლობაში მხოლოდ 7 თუ 8 შემთხვევა იყო, როდესაც მთავრობის წევრები მოდიოდნენ პარლამენტში.

რაც შეეხება თქვენს კითხვას ფორმალობასთან დაკავშირებით, რა ვიცი, მე ვერ ვგრძნობ, რომ მათი ანგარიშები და მოსვლები ფორმალობაა. ხომ უყურებთ, რა ხდება სხდომათა დარბაზში! საპარლამენტო ცხოვრება გააქტიურდა, გახდა ისეთი, როგორიც უნდა იყოს საპარლამენტო რესპუბლიკაში. გარწმუნებთ, ეს დინამიკა გაგრძელდება.

***– ვრცელდება ინფორმაცია, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის საარჩევნო სიის პირველი ნომერი შეიძლება იყოს ირაკლი ღარიბაშვილი. ირაკლი კობახიძეს როდესაც ამაზე ჰკითხეს, მან თქვა, რომ ეს მასზეც იქნება დამოკიდებული. მიმდინარეობს ამ საკითხზე მსჯელობა, სიის დაკომპლექტებაზე?***

– არჩევნებამდე 1 წელი და 8 თვეა დარჩენილი. ერთი მხრივ, ეს შეიძლება დიდი დრო არ იყოს, მაგრამ პოლიტიკური ცხოვრებისთვის, მერწმუნეთ, ძალიან დიდი დროა, მით უფრო – ასეთი საკითხისთვის.

თანამედროვე პოლიტიკაში ყოველ კვირა იცვლება მოვლენები. ამიტომ მე დღეს ვერაფერს გეტყვით, თუ ვინ იქნება „ქართული ოცნების“ საპარლამენტო სიაში წარმოდგენილი, მით უფრო, ვერაფერს გეტყვით სიის პირველ ნომერზე.

***– მე გკითხეთ, თუ იყო მსჯელობა?***

– არა, შემიძლია, დარწმუნებით გითხრათ, რომ ამ საკითხზე ჯერ პარტიაში მსჯელობა არ ყოფილა. დღის წესრიგში ეს საკითხი არ დამდგარა, თუ ვინ შეიძლება იყოს სიის პირველი ნომერი ან საერთოდ სიაში.

თუმცა, გასაგებია, არც მიკვირს თქვენი, მედიის, ინტერესი.

# მიდის თუ არა გახარია მოსკოვში

შორენა მარსაგიშვილი

შინაგან საქმეთა სამინისტროს გენინსპექციის ყოფილმა მოადგილე ვარლამ ხათრიძემ მმართველი პარტიის მომხრეები შოკში ჩააგდო. მან სოციალურ ქსელში გახარიას ფანებისთვის ინფარქტამდე მიმყვანი ინფორმაცია გაავრცელა.

ხათრიძის მტკიცებით, შინაგან საქმეთა მინისტრმა, შესაძლოა, საქართველო თანამდებობასთან ერთად დატოვოს და რუსეთისკენ მიმავალ გზას დაადგეს.

ვარლამ ხათრიძემ შს მინისტრი გიორგი გახარია შანტაჟში დაადანაშაულა. გახარიას შესაძლო წასვლის მიზეზად ხათრიძე იმ ფაქტს ასახელებს, რომ შს მინისტრმა პრემიერის თანამდებობა ვერ დაიკავა.

ხმები გახარიას პრემიერად შესაძლო დანიშვნაზე არაერთხელ გავრცელდა. შს მინისტრი მთავრობის მეთაურობასთან რამდენჯერმე იყო ახლოს, მაგრამ მას ყოველთვის ვიღაც უშლიდა ხელს.

– შს მინისტრი გახარია რამდენიმე დღის წინ დამაჯერებელი სახით გვიმტკიცებდა, რომ პრემიერმინისტრობისაკენ არ მიისწრაფვის, არც უნდა და არც მიზანი არ აქვს. არადა, მისი უახლოესი გარემოცვა სულ ცოტა ხნით ადრე დეტალურად მიყვებოდა, რომ არათუ მიზანი ჰქონდა, არამედ დამსახურებულადაც მიიჩნევდა თავს პრემიერად... ვციტირებ: „თუ არ დააფასებდნენ, საერთოდ წავიდოდა ქვეყნიდან და თავის საქმეს მიხედავდა“, მგონი, რუსეთში, – წერს სოციალურ ქსელში ვარლამ ხათრიძე.



ამ ინფორმაციას შინაგან საქმეთა მინისტრის გარემოცვა არ ადასტურებს. მათი თქმით, გახარია არსად წასვლას არ აპირებს.

ინფორმაციას არც „ქართული ოცნების“ საპარლამენტო ფრთა ადასტურებს. მათ შს მინისტრი გულზე დიდად არ ეხატებათ, მაგრამ ხმამაღლა ამბობენ, რომ გახარია მშვენივრად ასრულებს მოვალეობებს და არსად წავა.

ხმები გახარიას მოსკოვში გაჭრის შესახებ გადაჭარბებულად ეჩვენება სამოქალაქო აქტივისტ ლადო სადღობელაშვილს. ის მმართველი პარტიის კულუარებში კარგად არის ჩახედული და ბევრი რამე იცის.

ის შსს-ს გენინსპექციის უფროსის ყოფილი მოადგილის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას ერთგვარ შურისძიებად მიიჩნევს.

– ვარლამ ხათრიძეს ვიცნობ, ძალიან კარგი ბიჭია, მაგრამ, რაც გახარიაზე დაწერა, გაზვიადებულია. გახარიამ გამოუშვა ის სამსახურიდან და ძალიან გაბრაზებულია. ამიტომაც დაუწერა ასეთი რამე, – ამბობს „ახალ თაობასთან“ საუბარში სამოქალაქო აქტივისტი.

მართალია, მას ხათრიძის ვერსიის არ სჯერა, მაგრამ ამბობს, რომ არაფერი უნდა გამოვრიცხოთ.

– როცა პოლიტიკასა და საქართველოს მთავრობის წევრებზე საუბრობ, გადაჭრით არაფერი უნდა თქვა. კაცმა არ იცის, ხვალ მოხდება. რაღაცა შეიძლება გადატრიალდეს და შს მინისტრს გასაქცევად გაუხდეს საქმე.

შეიძლება, მას მართლაც უნდა რუსეთში დაბრუნება და არა იმის გამო, რომ აქ რამე მოთხოვნები არ შეუსრულეს. იქ მან დიდი ხნის განმავლობაში იცხოვრა. იქ იშოვა ფული და ადრე თუ გვიან წავა კიდევაც. ამ წლის ბოლომდე მისი წასვლა გამორიცხულია, – აღნიშნავს სადღობელაშვილი.

მისი მტკიცებით, „ოცნებისა“ და ქვეყნის მმართველი გახარიას წასვლას არაფრით დაუშვებენ.

– თითქმის დარწმუნებული ვარ და ამის შესახებ „ოცნებიდანაც“ მაქვს ინფორმაციები, რომ ივანიშვილი გახარიას არსად გაუშვებს. გასულ წელს ივანიშვილმა გვითხრა, ერთი წელი მაცალეთ და ყველაფერს დავალაგებო. ეს ერთწლიანი ვადა 2019 წელს იწურება.

გახარია 2019 წლის ბოლომდე არსად წავა, უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვი, რომ ივანიშვილი არსად გაუშვებს. შს მინისტრი კარგი შემსრულებელია და მან ბოსს კიდევ ბევრი დავალება უნდა შეუსრულოს, – მიიჩნევს სამოქალაქო აქტივისტი.

რა დავალებები უნდა შეასრულოს გახარიამ, ამას სადღობელაშვილი არ აკონკრეტებს, მხოლოდ იმას ამბობს, რომ წლის ბოლომდე ბევრი რამ იქნება გასაკეთებელი. ეს გასაკეთებელი გახარიამ შს მინისტრის რანგში უნდა გააკეთოს.

მისი თქმით, გახარიას პრემიერობის დიდი სურვილი თავად არ აქვს. სამოქალაქო აქტივისტი ამბობს, რომ შს მინისტრი, ფაქტობრივად, პრემიერია.

– ბევრს საუბრობდნენ იმაზე, რომ გახარია პრემიერი გახდებოდა. რამდენადაც მე ვიცი, ის თავიდან დაიყოლიეს ამაზე, მაგრამ მერე უარი თქვა. პრემიერობა მას არაფერში სჭირდება. ივანიშვილის შემდეგ მაინც ეგ არის მთავარი.

გარდა იმისა, რომ „ოცნების“ მეთაური მას ენდობა, გახარიას დე ფაქტო პრემიერობაზე ისიც მეტყველებს, რომ ყველა ძალოვან სტრუქტურას ის აკონტროლებს. ერთი თავდაცვა დარჩა აუღებელი და იქაც მალე დაინიშნება მისი კადრი, შავლეგ ტაბატაძე. ახლა მითხარით, რაში სჭირდება მას პრემიერის თანამდებობა, კაცი ისედაც პრემიერია, – ამბობს სადღობელაშვილი.

რადგან ქართულ პოლიტიკაში ყველაფერი მოსულა, არ არის გამორიცხული, გახარია რომ წავიდეს. მართალია, მას „ოცნების“ ლიდერი ენდობა, მაგრამ, არა იმდენად, როგორც ირაკლი ღარიბაშვილს, რომლის გაშვებაც ოლიგარქმა ერთ დღეში გადაწყვიტა. შესაბამისად, არ არის გამორიცხული, გახარიასაც დაურეკონ ივანიშვილის სახელით და უთხრან, ბრიფინგი დანიშნე და გადადგომის შესახებ გააკეთე განცხადებაო.

გახარიას „ოცნებაში“ გუნდი და, შესაბამისად, დასაყრდენი არ ჰყავს. მეოცნებეების ნაწილს ძალიან აღიზიანებს მის დაახლოება ივანიშვილთან. სადღობელაშვილი არ გამორიცხავს, რომ ვიღაცებმა შს მინისტრზე მთავარ მეოცნებეს ჭორები მიუტანონ და მის მიმართ უარყოფითად განაწყონ.

– გახარიას „ოცნებაში“ ბევრი მტერი ჰყავს, მაგრამ წლის ბოლომდე მაინც არ შეელევა ივანიშვილი. ეს ადამიანი ახლა, როგორც ნაცების ბუა, ისე აღიქმება. ხან ნიკა მელია გაატანინა რუსთაველიდან, მერე დათო კირკიტაძე დააკავა, პარლამენტის ტრიბუნიდან თქვა, საჭირო თუ გახდება, სხვა ნაცებსაც ჩავაგდებო.

იმ შემთხვევაში, თუ ივანიშვილი მის გაშვებას დათანხმდება, დაამტკიცებს, რომ ნაცებთან არის შეკრული, რადგან, ვინც ნაცების წინააღმდეგი იყო, ყველა „ოცნების“ მიღმა აღმოჩნდა. ამიტომ მგონია, რომ შს მინისტრი არ შეიცვლება, – აცხადებს სამოქალაქო აქტივისტი.

გახარიას მოსკოვში შესაძლო წასვლასთან დაკავშირებით ინფორმაცია „ოცნებასთან“ დაახლოებულ პირებთანაც გადავამოწმეთ. ჩვენი წყაროს თქმით, გახარია წავა, მაგრამ ზუგდიდში და არა – მოსკოვში.

ზუგდიდში მერის ვადამდელი არჩევნებია. ჩვენი წყაროს ინფორმაციით, ამ ქალაქის მოგება შს მინისტრს აქვს დავალებული.

# დიმიტრი შაშკინი: „იზორიასგან ვერ მოვისმინე, როგორ აპირებს ქვეყნის უსაფრთხოების დაცვას“

იაგო ნაცვლიშვილი



4 აპრილს თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია მინისტრის საათის ფორმატში პარლამენტში იმყოფებოდა და დეპუტატების კითხვებს პასუხობდა. მინისტრმა ოპოზიციის წარმომადგენლების მხრიდან კრიტიკა დაიმსახურა. ერთ-ერთი მთავარი საკითხი კი ის იყო, რომ მან რუსეთს მტერი იქამდე არ უწოდა, სანამ დამაზუსტებელი კითხვა არ დაუსვეს.

რამდენად დამაჯერებელი იყო იზორიას პასუხები, როგორ აფასებს თავდაცვის უწყების პოლიტიკას და რას ფიქრობს სააკაშვილის იმ განცხადებაზე, როდესაც მან თქვა, რომ მზად იყო, ნატოს წევრობაზე უარი ეთქვა, თუ რუსეთი ოკუპირებულ ტერიტორიებს დაგვიბრუნებდა? – ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში თავდაცვის ყოფილი მინისტრი **დიმიტრი შაშკინი** საუბრობს:

***– თავდაცვის მინისტრი იმყოფებოდა პარლამენტში. თქვენთვის მისი პასუხები დამაჯერებელი იყო?***

– მე თავდაცვის მინისტრისგან, სამწუხაროდ, ვერ მოვისმინე კონკრეტული გეგმა. აქ არ არის საუბარი იმაზე, რაც ეხება სახელმწიფო საიდუმლოებას. აქ საუბარია იმაზე, თუ როგორ უნდა უზრუნველყოს ჩვენმა შეიარაღებულმა ძალებმა ქვეყნის უსაფრთხოება. მე ეს, სამწუხაროდ, ვერ მოვისმინე. იყო ზოგადი პოლიტიკური განცხადებები და არა კონკრეტული პოზიციები. თავდაცვის მინისტრმა არ ისაუბრა იმაზე, ვინ არის საქართველოს მტერი, სანამ მას ეს კითხვა არ დაუსვეს.

საერთოდ რისთვის ვითარდება ჩვენ ჯარი?! არ უნდა დიდი სამხედრო ექსპერტობა, რომ მარტივი ჭეშმარიტება გესმოდეს.

თავდაცვის უწყება ან შეიარაღებული ძალები ქვეყანაში ვითარდება იმის მიხედვით, თუ რა გამოწვევები დგას ქვეყნის წინაშე. ეს პირდაპირ კორელაციაშია თავდაცვის კუთხით არსებულ გამოწვევებთან და შეიარაღებული ძალების პერსპექტივებთან. რუსეთი არის საქართველოს მტერი და თუ ამაზე მინისტრი არ საუბრობს, მაშინ გაუგებარი ხდება, რისთვის ვამზადებთ ჯარს.

***– მან თქვა, რუსეთი ვიგულისხმეო. ხაზი უნდა გაესვა, რომ რუსეთზე საუბრობდა?***

– თუ შენ არ ამბობ, რომ რუსეთი მტერია, მაშინ რაღაცა გაუგებარი განცხადებები გასაგებია. ყველა ადამიანს ესმის, რომ რუსეთი ჩვენი მტერია. თუ ეს ასეა, მაშინ შენი ხედვა თავდაცვის სისტემის გაძლიერების ამას უნდა ეფუძნებოდეს. ანუ, მე მაინტერესებდა, მაგალითად, როგორ იქნება დაცული საქართველო ჰაერიდან. ანუ, ანტისაჰაერო სისტემები რამდენად გვაძლევს შესაძლებლობას, რომ რუსეთის აგრესიისგან ვიყოთ დაცულები. ის, რაც იყიდეს საფრანგეთში ძალიან ძვირად, ბუნებრივია, არანაირად გვაძლევს შესაძლებლობას, რომ ჰაერიდან დაცულები ვართ. იმიტომ, რომ ის რაკეტები არის სტინგერის ეკვივალენტი. ის მუშაობს მოკლე დისტანციაზე. ამ სიმაღლეზე რუსული თვითმფრინავები არ დაფრინავენ. ბევრად მაღლა დაფრინავენ.

აქედან გამომდინარე მაინტერესებს, როგორ აპირებს თავდაცვის მინისტრი და გენერალური შტაბი, ქვეყანა ჰაერიდან დაიცვას. მე მაინტერესებდა, რა გეგმები აქვთ ვერტმფრენებთან დაკავშირებით. ჩვენი რელიეფიდან გამომდინარე ძალიან გვიჭირს ჩვენი შენაერთების ერთი ადგილიდან მეორეში გადასროლა. ღმერთმა არ ქნას და რაღაცა პრობლემა რომ გვქონდეს მთა-თუშეთში, ამას დასჭირდება 5-7 საათი ზაფხულის პერიოდში. ზამთარში საერთოდ ვერ ჩადიხარ მანქანით. აქედან გამომდინარე მაინტერესებს, სად არის ვერტმფრენები. გვაქვს შესაძლებლობა, რომ გადავისროლოთ მცირე ჯგუფები მაინც?

თავის დროზე ამაზე უარი თქვა ალასანიამ, რომ ამერიკიდან საჩუქრად მიეღო. ასევე მაინტერესებდა სამხედრო წარმოებასთან დაკავშირებით. ამაზე ვერაფერზე პასუხი ვერ მივიღე.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ სათქმელი არაფერი აქვთ.

***– ზოგადად ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის პოლიტიკას როგორ შეაფასებთ? ყოველწლიურად მცირდება თავდაცვის ბიუჯეტი. რითი შეიძლება აიხსნას?***

– გარდა ბიუჯეტისა, ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემაა ის, რომ ოფიცრები წასულები არიან. ის ხალხი, ვინც ქვეყანას იცავდა 2008 წელს, მათი აბსოლუტური უმრავლესობა ქვეყნიდან არის წასული. ზოგი დაჭერილია, ზოგი სხვა ქვეყნებში მუშად მუშაობს, ზოგი სხვის ომში ომობს, მაგრამ ქვეყნიდან წასულია. სამხედრო გამოცდილება შეიარაღებული ძალების შექმნის პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანია. ამ ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა, რომ ეს ხალხი ან შეიარაღებული ძალებიდან წავიდეს ან ქვეყნიდან.

***– თავდაცვის უწყებიდან გათავისუფლებული მფრინავი ქალი არ შეუშვეს სხდომაზე. რა რეაქცია გქონდათ, როცა ეს ნახეთ?***

– უბედურებაა ის, რომ გენერალურ შტაბში ვინც იყვნენ წარმოდგენილები, ეს ხალხი პოლიტიკური განცხადებებით არის დაკავებული. ისინი კაბინეტებიდან აკეთებენ პოლიტიკურ განცხადებებს და არაფერს აკეთებენ ჯარისკაცებისთვის, რომ დაიცვან მათი უფლებები და ინტერესები.

რატომ უნდა გაგვიკვირდეს იმის შემდეგ, როცა ქვეყნის მთავარსარდალმა გააკეთა განცხადებები. როგორ დავუძახო მთავარსარდალი, მაგრამ დე-იურე და დე-ფაქტოა და ითვლება, რომ მთავარსარდალია. ის იძახის, რომ ცხინვალი დავბომბეთ. ამბობს, რომ ჩვენმა ჯარისკაცებმა, კაპრალებმა, სერჟანტებმა დაბომბეს ცხინვალი. ამის შემდეგ ჩვენი შეიარაღებული ძალების რა ინტერესების დაცვაზე შეიძლება საუბარი.

მაგალითს მოგიყვანთ. მქონდა ბედნიერება, რომ მქონოდა ურთიერთობა გენერალთან, რომელზეც შემდეგ ფილმიც არის გადაღებული „შავი ქორის დაცემა“. მაშინ ამ ოპერაციას ძალიან დიდი მსხვერპლი მოჰყვა. ეს იმის შემდეგ დაიწყო, რაც ჩამოგდებული იყო ვერტმფრენი და ტყვედ ჩავარდა ამერიკელი მფრინავი. აშშ-მა დაიწყო ფართომასშტაბიანი ოპერაცია ამ ერთი მფრინავის გამოსაყვანად.

ამ ოპერაციაში დაიღუპა ათობით ამერიკელი. თუმცა, არავის არასოდეს შეუხედავს ამისთვის ეჭვის თვალით. იმიტომ, რომ აშშ-ში ჯარისკაცის სიცოცხლე არის უმნიშვნელოვანესი. ამიტომ გააკეთა ყველაფერი ჯარმა, რომ გამოეყვანა სომალიდან ტყვედ ჩავარდნილი მფრინავი. ღირსება ამ ოფიცრის არ უნდა შელახულიყო. ამ ოფიცერმაც იცოდა, რომ რაც უნდა მოხდეს, ამის უკან დგას ქვეყანა და ჯარი. ჩვენთან ადამიანს აგდებენ უწყებიდან და იმის უფლებასაც კი არ აძლევენ, რომ შევიდეს პარლამენტში. რა ღირსების დაცვაზეა საუბარი?!

***– სააკაშვილმა თქვა, რომ მზად იყო, ნატოზე უარი ეთქვა, თუ რუსეთი დაგვიბრუნებდა ტერიტორიებს. თქვენი დამოკიდებულება როგორია ამ თემაზე?***

– ეს არის პოლიტიკური საკითხი, რომელიც რელევანტური იყო იმ ვითარებაში, როდესაც ეს წინადადება იყო წარდგენილი. ეს იყო 2006 თუ 2007 წელს. ეს იყო ომამდე და ეს იყო ბოლო მცდელობა იმისთვის, რომ რუსეთისთვის შეგვეთავაზებინა ამ პრობლემის მოგვარება. ამის იქით უკვე არაფერი არსებობდა. ჩვენ ხომ დამოუკიდებლობას ვერ დავუთმობდით რუსეთს?! პოლიტიკურად ეს იყო სწორი ნაბიჯი იმისთვის, რომ ჩვენი საერთაშორისო პარტნიორებისთვისაც გვეთქვა ეს. ისინი მუდმივად გვეუბნებოდნენ, რომ დაელაპარაკეთ რუსეთს. საიდუმლო ხომ არ არის, რომ იგივე აშშ 2008 წლამდე გვეუბნებოდა, რომ დიალოგში იყავით რუსეთთან და დაელაპარაკეთო.

***– ვთქვათ, წამოსულიყო რუსეთი ამაზე. რა გარანტია არსებობდა, რომ რამდენიმე წლის შემდეგ ისევ არ მოახდენდა ჩვენი ტერიტორიების ოკუპაციას?***

– ჩვენც გვესმოდა, რომ რუსეთი არ წამოვიდოდა ამაზე, მაგრამ ეს იყო იმ მომენტისთვის ძალიან სწორი მესიჯი, რომ გვეჩვენებინა საერთაშორისო პარტნიორებისთვის. პირველ რიგში ამერიკისთვის, რომ ჩვენ მაქსიმუმის მაქსიმუმის დასათმობად მზად ვართ იმისთვის, რომ აღვადგინოთ ჩვენი ტერიტორიული მთლიანობა და ამით დავარეგულიროთ პრობლემა რუსეთთან. ჩვენი პრობლემა რუსეთთან გამომდინარეობს არა პიროვნული ფაქტორებიდან, არამედ იქიდან, რომ მათ აქვთ ოკუპირებული ჩვენი ტერიტორია. მაშინაც ჰქონდათ და ახლაც აქვთ.

ყველას გვესმოდა, რომ ეს იყო უძლიერესი არგუმენტი საერთაშორისო პარტნიორებთან. მაქსიმუმი შევთავაზეთ, რომ დავთმოთ და ამაზე არ მოდიან. ამის მერე გვქონდა ჩვენ ძალიან კარგი დაცვითი მექანიზმი იმ დემაგოგიისგან, რომელიც მოდიოდა ჩვენი დასავლელი პარტნიორებისგან, რომ უნდა დაელაპარაკოთ რუსეთს და მოლაპარაკებით შეიძლება რამე მოგვარდეს.

ეს იყო სწორად გაკეთებული პოლიტიკური ნაბიჯი. ყველას გვესმოდა, რომ რუსეთი უარს იტყოდა. ნატო კი არ არის პრობლემა ჩვენში, ეს ხომ გვესმის?! რუსეთს არ აინტერესებს და არ არის პრობლემა, საქართველო გახდეს ნატოს წევრი ქვეყანა. რუსეთის პრობლემა საქართველოსთან ბევრად უფრო დიდი და რთულია, ვიდრე ნატო.

# „ფქვილის და პურის გაძვირება მნიშვნელოვნად განაპირობა რუსეთის ბაზარზე დამოკიდებულებამ“



დარწმუნებული ვართ, რომ ფქვილის მწარმოებელთა მხრივ სერიოზული კონკურენციაა ბაზარზე, პრემიერმა კონკურენციის სააგენტოს სთხოვა ამ ბაზრების შესწავლა, სააგენტოსთან გვაქვს კომუნიკაცია და ველოდებით უწყების დასკვნას, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს ხორბლის და ფქვილის მწარმოებელთა ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ლევან სილაგავამ ქვეყანაში პურის შესაძლო გაძვირების კომენტირებისას განუცხადა.

სილაგავას თქმით, მნიშვნელოვანია, რომ კონკურენტული გარემო იყოს როგორც ხორბლის იმპორტის მხრივ, ისე ფქვილის და პურის ბაზარზე. ამასთან, ასოციაციის დირექტორი მზადყოფნას გამოთქვამს, სახელმწიფო სტრუქტურებთან ამ მიმართულებით არსებული პრობლემების გადასაჭრელად ითანამშრომლოს.

– ფქვილის და შესაბამისად პურის გაძვირება მნიშვნელოვნად განაპირობა რუსეთის ბაზარზე დამოკიდებულებამ. ბოლო სამი წელია საკმაოდ სერიოზული ბმა გვაქვს რუსეთთან ხორბლის იმპორტის მიმართულებით და ცხადია, აუცილებელია საიმპორტო ბაზრების დივერსიფიცირება. დეკემბრის შემდეგ მდგომარეობა შედარებით დასტაბილურდა, თუმცა საჭიროა მდგრადი და სწორი მექანიზმის არსებობა ამ საკითხის დასარეგულირებლად, – განაცხადა სილაგავამ.

ლევან სილაგავა ფქვილის მწარმოებლების მხრიდან არაჯანსაღი კონკურენციის შექმნას გამორიცხავს, კონკურენციის სააგენტო კი აღნიშნულ საკითხს მეოთხე თვეა სწავლობს.

იმის გასარკვევად, თუ რა ეტაპზეა აღნიშნული კვლევა, „ინტერპრესნიუსი“ კონკურენციის სააგენტოს დაუკავშირდა. ნოდარ ხადურის უწყებაში განმარტავენ, რომ ამჟამადაც მუშაობს შესაბამისი ჯგუფი ამ საკითხზე და ვერ აკონკრეტებენ, როდის იქნება საბოლოო შედეგი საჯარო.

– საქართველოს კონკურენციის სააგენტო ხორბლისა და პურპროდუქტების ბაზრის მონიტორინგს ახორციელებს. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ინფორმაციის დამუშავება, მიღებული შედეგები იქნება საჯარო და ყველასათვის ხელმისაწვდომი, – აცხადებენ კონკურენციის სააგენტოში.

შეგახსენებთ, რომ 10 დეკემბრიდან მაღაზიებში პურის ფასმა, დაახლოებით, 5-10 თეთრით მოიმატა. იმავე დღეს, მთავრობის სხდომის დაწყების წინ, პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ საკითხის შესწავლა კონკურენციის სააგენტოს დაავალა, რამდენადაც კეთდებოდა შეფასებები, რომ შესაძლოა, ფასის მატება არაჯანსაღი კონკურენციით ყოფილიყო გამოწვეული.

bpn

# მთაწმინდის, დიდუბის, ჩუღურეთისა და გლდანის რაიონებში 1126 ავარიული კორპუსია აღრიცხული



მთაწმინდის, დიდუბის, ჩუღურეთისა და გლდანის რაიონებში 1126 ავარიული კორპუსია აღრიცხული, – აღნიშნული ინფორმაცია „ინტერპრესნიუსმა“ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურიდან გამოითხოვა.

ავარიული კორპუსების რაოდენობის შესახებ თბილისის მერია სრულყოფილ სტატისტიკას არ ფლობს.

რაც შეეხება არსებულ მონაცემებს, როგორც უწყებაში განმარტავენ, მთაწმინდის რაიონის გამგეობაში დაცული მასალების მიხედვით, მთაწმინდის რაიონში 467 ავარიული კორპუსია აღრიცხული, აქედან 9 მწვავედ ავარიულია, ხოლო 16 კორპუსის მდგრადობის შეფასება „ფორსმაჟორია“, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ კორპუსების საცხოვრებლად გამოყენება შეუძლებელია.

ჩუღურეთის რაიონის გამგეობის სამოქმედო ტერიტორიაზე აღრიცხულია 400-მდე ავარიული სახლი. ამასთან, დღეის მდგომარეობით, გლდანის რაიონში 20, ხოლო დიდუბის რაიონის ტერიტორიაზე 239 ავარიული კორპუსი ფიქსირდება.

სხვა გამგეობებიდან გამოგზავნილ ოფიციალურ პასუხებში აღნიშნულია, რომ მსგავს ინფორმაციას არ ფლობენ.

„ინტერპრესნიუსის“ კითხვაზე, რა მექანიზმებს ფლობს თბილისის მერია ავარიული შენობების აღრიცხვის კუთხით, უწყებაში განმარტავენ, რომ შენობის ავარიულობის დადგენა მოქალაქეთა მომართვის საფუძველზე ხდება და სხვა შემთხვევაში უწყება დედაქალაქში მდებარე შენობების ავარიულობას არ ამოწმებს. ამასთან, აღნიშნავენ, რომ მოქალაქეთა მიმართვიანობა საკმაოდ მაღალია.

– ინფრასტრუქტურის საქალაქო სამსახურის მიერ არ ხდება ავარიული და დაუმთავრებელი შენობების მონიტორინგი. მოქალაქეთა მომართვის შემდეგ იწყება შენობა-ნაგებობის შემოწმება, პარალელურად ერთვება მუნიციპალური ლაბორატორია, დგინდება ავარიულობის ხარისხი და მდგომარეობიდან გამომდინარე იგეგმება შესაბამისი ღონისძიება. იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება შენობის ავარიულობა, 4 სართულამდე სახლების გამაგრებით სამუშაოებს ატარებენ გამგეობები, ხოლო უფრო მაღალსართულიან შენობებზე პასუხისმგებელი ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურია, – განმარტავენ მერიაში.

მერიაში განაცხადეს, რომ იმ შემთხვევაში, თუ შენობა გამაგრებას არ ექვემდებარება, მოსახლეობა ქირით გაყავთ, სანამ ინვესტორი არ გამოჩნდება.

bpn

# გამოსაშვები გამოცდების გაუქმების კანონპროექტი პარლამენტში ჩავარდა

## სერგო რატიანი: „ეს მიდგომა სრულიად გაუგებარი, გაუაზრებელი იყო“

ნონა ცაბაძე

„ახალ თაობას“ პარლამენტის წევრი **სერგო რატიანი** ესაუბრება.

***– ბატონო სერგო, უმრავლესობამ მესამე მოსმენით ჩააგდო კანონპროექტი გამოსაშვები გამოცდების გაუქმების შესახებ. რა ხდება, ისევ ღილაკები აერიათ?***

– დიახ, ზუსტად ეგ არის.

***– პარლამენტია თუ ცირკი?***

– უბრალოდ, როგორც ჩანს, მობილიზება ვერ მოახერხეს, რაღაცა აერიათ კვლავ. რაც მთავარია, მთავრობას ჰქონდა ნათქვამი მათთვის, რომ დაჩქარებული წესით გაეტანათ, მაგრამ მობილიზება ვერ მოახერხეს. სრულიად უპასუხისმგებლობაა უმრავლესობის მხრიდან.

***– ასეთი რეპლიკაც მოვისმინეთ, ვერ გავიგეთ, რა კანონპროექტი გადიოდაო.***

– ხომ წარმოგიდგენიათ, რა ხდება, ეს საერთოდ რანაირი განმარტებაა. ჯერ ერთი, მოვალეები იყვნენ, რომ გაეგოთ, მეორეც, ვინც კონკრეტულად პასუხისმგებელია ამ კანონის გატანაზე განათლების კომიტეტის მხრიდან, მას უნდა გაეფრთხილებინა, თუ მაინცდამაინც გაფრთხილება სჭირდებათ და თითის მიტანა ღილაკზე.

რამდენიმე თვით ადრე დაანონსებულია გაუქმება, პარლამენტში არ არის გატანილი და მათ მაინც ნათქვამი აქვთ, რომ გაუქმდება. თავისთავად, ეს მიდგომა სრულიად გაუგებარია. როგორც კი თქვეს, ეგრევე უნდა შემოეტანათ, ასე არ მოიქცნენ და ეს ნიშნავს, რომ მათთვის, უბრალოდ, ფორმალობაა პარლამენტში კანონის შემოტანა. რამდენიმე თვეა, ყველა ელოდება ამ კანონის მიღებას, ფაქტობრივად, იციან, რომ გაუქმებულია, დღეს შემოაქვთ დაჩქარებული წესით, იმიტომ, რომ რაღაც ვადებში ვერ ეტევიან და ამ პირობებში კანონპროექტი ჩააგდეს. სრულიად გაუგებარი სიტუაციაა.

***– როდესაც განათლებას ეხება საქმე, ჩვენს მომავალ თაობებს, ასეთი უპასუხისმგებლობა რამდენად დასაშვებია?***

– უპასუხისმგებლობაა თავისთავად. მიდგომაც არასწორი იყო, გამოცდების გაუქმებასთან დაკავშირებითაც სერიოზული პრობლემებია, მაგრამ, როდესაც საზოგადოებას ეუბნები და ბავშვებმაც იციან, რომ უკვე გაუქმებულია, მერე ასეთი უპასუხისმგებლობა სრულიად დაუშვებელია.

***– მარიამ ჯაშმა განაცხადა, რომ პატარა ტექნიკური პრობლემა იყო და გადაწყვეტილება ძალაში რჩება.***

– იმავე წარმატებით შეეძლოთ ეთქვათ, რომ აბიტურიენტებს მივმართავთ, ნუ ინერვიულებენ, ჩვენ, უბრალოდ, უპასუხისმგებლოები ვართ, ცოტა უუნაროები, „ნიჩურიკი“ გვქონდა კიდევ და ამას გამოვასწორებთ.

უბრალოდ, არასერიოზულია ეს ყველაფერი, თორემ, რასაკვირველია, აქვთ შესაძლებლობა, ხელახლა დააყენონ კენჭისყრაზე, უბრალოდ, მე ვაფასებ ამ პროცესსა და მათ დამოკიდებულებას.

***– რატომ მოეკიდნენ ასე უპასუხისმგებლოდ ამ საკითხს ან ასე დაჩქარებული წესით რატომ მოხდა კენჭისყრა?***

– სრულიად გაუგებარი, გაუაზრებელი იყო ეს მიდგომა, თანაც, მაგის გარდა, ჩვენ, ოპოზიცია, ვეუბნეოდით, რომ გვქონდა გარკვეული შენიშვნები და ჩვენც კი მზად ვიყავით, მხარი დაგვეჭირა, მათ კი თქვეს, ჩვენ თვითონ გავაკეთებთ ამ ყველაფერსო. გააკეთეს და ვნახეთ, როგორც გააკეთეს.



***– ანუ, თუ კანონპროექტი დაიხვეწებოდა, ოპოზიციაც უჭერდა მხარს?***

– როგორც წესი, ოპოზიცია თავს არიდებს ასეთ საკითხებს. ჩვენ ვუთხარით, რომ გარკვეული შენიშვნების შემდეგ „ევროპული საქართველო“ ვამბობდით, რომ მხარს დავუჭერდით ამას.

ზოგადად არ არსებობს ნორმალური ქვეყანა, რომელშიც არ არსებობს დამამთავრებელი გამოცდები, რომლის ქულებიც არ თამაშობდეს როლს მისაღებ გამოცდაზე. შევთავაზეთ, რომ ასეთი რამ გაგვეკეთებინა. ცხადია, ეს ახლა არ მოესწრებოდა, ეთქვათ, ერთი წელი ან ორი წელი არ ტარდება გამოცდები, შემდეგ კი მოვამზადებდით ამ საკითხს და განახორციელებდნენ.

ასეთ შემთხვევაში თანახმა ვიქნებოდით, მხარი დაგვეჭირა ამ კანონპროექტისთვის, თუმცა არ გაითვალისწინეს ეს. გარდა ამისა, ვეუბნებოდით, რომ რეფორმების პროექტი მოეცათ, რომ მოხსენით გამოცდები, ხომ უნდა ვიცოდეთ, რას აპირებთ.

***– ამ სიჩქარის მიზეზი რა იყო?***

– სიჩქარის მიზეზი ის იყო, რომ კანონში გაწერილია, როდის რა უნდა გააკეთო და შეიძლება, უბრალოდ, ველარ მოასწრო. გარკვეული კანონი რომ მიღებულია, მერე კანონქვემდებარე აქტებია მისაღები.

***– ოპოზიციის რჩევები რატომ არ გაითვალისწინეს, რატომ არ დახვეწეს აღნიშნული კანონპროექტი და რამდენად სწორია გამოსაშვები გამოცდების გაუქმება?***

– ზოგადად, გამოცდების გაუქმების საფუძველი არის ის, რომ ბოლო წლების განმავლობაში, 24%-27%-მდე ბავშვებისა სკოლის ატესტატს ვერ იღებდა. ეს ნიშნავს, რომ სკოლა ჩამოშლილია, უმძიმეს მდგომარეობაშია და პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღეს, დაახლოებით ისეთივე, როგორიც იყო, მაგალითად, ვალების ჩამოწერა.

***– სირაქლემის პოზა უჭირავთ?***

– ასეა. ეს იყო სუფთა პოპულისტური გადაწყვეტილება. გააუქმეს, რომ არ გამოჩნდეს, რამდენი ბავშვი ჩაიჭრა, რათა საზოგადოებამ აღარ იფიქროს, თუ რა პრობლემებია სკოლაში.

ჩვენ ვეუბნებოდით, რომ 2 გამოცდა საჭირო ნამდვილად არ არის. 6 წელი არ სჭირდება, რომ მიხვდე ამას, საჭიროა 1 გამოცდა, რომლითაც დაასრულებ სკოლას და გადახვალ ახალ ეტაპზე, ანუ ეროვნულისა და კატის გამოცდის მოდიფიცირება და აქედან ერთი გამოცდის გაკეთება.

# ყველაზე „მტაცებელი“ ქართული ბანკების ხუთეული

ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა ქართული ბანკების საკრედიტო პოლიტიკას მტაცებლური უწოდა.

– საზოგადოებას მინდა შევახსენო, თუ რა მძიმე მდგომარეობა იყო რეგულაციების შემოღებამდე ფიზიკური პირების არაჯანსაღი დაკრედიტების კუთხით. ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ და სხვადასხვა კომპანიებისა და ფინანსური ინსტიტუტების სრულიად უპასუხისმგებლო ე.წ. მტაცებლურმა, აგრესიულმა დაკრედიტებამ მოსახლეობის დიდი ნაწილი ძალიან რთულ მდგომარეობაში ჩააყენა. 700 ათასი მოქალაქე უკვე გადახდისუუნარო აღმოჩნდა. გარდა ამისა, ასი ათასობით ადამიანს მის შემოსავალთან შედარებით არაადეკვატურად მაღალი სესხები გააჩნიათ. ვიღებთ ძალიან ბევრ წერილს მოქალაქეებისგან, რომლებმაც უძრავი ქონება დაკარგეს ან დაკარგვის რისკის ქვეშ არიან გაუთვითცნობიერებლად მიღებული გადაწყვეტილებების გამო, – განაცხადა კობა გვენეტაძემ პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას.

ყველაზე მტაცებელი ქართული ბანკების რეიტინგი ასეთია:

### „თიბისი ბანკი“

2018 წლის მეოთხე კვარტლის ბოლოს ყველაზე მეტი მოგება „თიბისი ბანკმა“ მიიღო – კომპანიას 361 მილიონი ლარის წმინდა მოგება აქვს. ამასთან, „თიბისი ბანკის“ საპროცენტო შემოსავლებში ყველაზე დიდი მოცულობით ფიზიკური პირების დაკრედიტებიდან მიღებული შემოსავალი გამოირჩეოდა – ამ შემოსავალმა 612.445.856 ლარი შეადგინა.

2017 წლის მონაცემებით „თიბისი ბანკის“ სასესხო პორტფელის უდიდესი წილი – 49 ფიზიკურ პირებზე მოდის.

### „საქართველოს ბანკი“

2018 წელს, „თიბისის“ შემდეგ, მოგების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი „საქართველოს ბანკს“ აქვს, მისმა წმინდა მოგებამ 2018 წლის მეოთხე კვარტლის ბოლოს 342.848.590 ლარი შეადგინა. ამავე პერიოდში ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხებიდან მიღებული შემოსავალი 722.039.886 ლარი იყო.

„საქართველოს ბანკმა“ 2017 წელს კლიენტებზე ჯამში 7,7 მილიარდი ლარის სესხი გასცა, აქედან ფიზიკურ პირებზე 4,2 მილიარდი ლარი გაიცა, რაც მთლიანი სასესხო პორტფელის 55,6%-ია.

### „ლიბერთი“ ბანკი

2018 წლის მონაცემებით, მოგების მაჩვენებლით, „ლიბერთი“ ბანკი მესამე ადგილზეა, მისი წმინდა მოგება 52.001.428 ლარი იყო. ამავე პერიოდში ბანკმა ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხებიდან 237.673.327 ლარი მიიღო.

2017 წელს „ლიბერთი“ ბანკმა 866, 551 მლნ ლარი გასცა, აქედან 99,5% ფიზიკური პირების დაკრედიტებაზე მოდის.

### „ბაზისბანკი“

„ბაზისბანკმა“ 2018 წლის მეოთხე კვარტალი 35.230.140 ლარიანი მოგებით დაასრულა. ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხებიდან „ბაზისბანკმა“ 30.618.105 ლარი მიიღო.

„ბაზისბანკმა“ 2017 წელს 774,251 მილიონი ლარის ოდენობის სესხი გასცა, ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები კი 157 მილიონ ლარს და საკრედიტო პორტფელის 20%-ს შეადგენდა.

### „ვითიბი ბანკი ჯორჯია“

„ვითიბი ბანკის“ წმინდა მოგებამ, 2018 წლის მე-4 კვარტლის მონაცემებით, 30.734.954 ლარი შეადგინა და ბანკმა ამ მაჩვენებლით მეხუთე ადგილი დაიკავა. ამავე პერიოდში „ვითიბი ბანკმა ჯორჯიამ“ ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხებიდან 59.015.924 ლარის ოდენობის შემოსავალი მიიღო.

„ვითიბი ბანკმა“ 2017 წელს ჯამში 981,802 მლნ ლარი გასცა სესხის სახით. აქედან 45.1% – ფიზიკურ პირებზე, ხოლო 53,5% კი ბიზნესზეა გაცემული.

დასახელებული ბანკების გარდა, დღეს საქართველოში კიდევ 10 კომერციული ბანკია: ბანკი ქართუ (2017 წელს ფიზიკური პირებზე გაცემული 44,798 მილიონი ლარია); პროკრედიტ ბანკი; სილქროუდ ბანკი; ზირაათბანკი საქართველო; იშ ბანკი საქართველო; ტერაბანი; ხალიკბანკი საქართველო; პაშაბანკი საქართველო; ფინკა ბანკი საქართველო და კრედობანკი.

**კომერსანტი**

# ოკუპირებულ აფხაზეთში ქართველებს ქონების მემკვიდრეობის უფლებასაც ართმევენ

მარიამ მჭედლიშვილი

ოკუპირებულ აფხაზეთში მცხოვრებ ქართველებს და იქიდან დევნილებს კიდევ ერთ დისკრიმინაციულ გადაწყვეტილებას უმზადებენ. ადგილობრივ პარლამენტში, ანუ სახალხო კრებაში განიხილება მათთვის ქონებრივი მემკვიდრეობის უფლების აკრძალვა. უკავშირდება თუ არა ეს 21 ივლისს დაგეგმილ „საპრეზიდენტო“ არჩევნებს, ჯერ ბუნდოვანია. პროექტის ინიციატორები ამას საზოგადოების დაკვეთის შესრულების სურვილით ხსნიან.

პარლამენტის წევრი რაულ ლოლუა, რომელიც ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრია, აცხადებს, რომ საკანონმდებლო ორგანოს მიმართავენ ომის ვეტერანები. ისინი პროტესტს გამოთქვამენ იმის გამო, რომ ბოლო დროს აფხაზეთში უძრავ ქონებას იფორმებენ ქართველები, რომლებიც აქ ცხოვრობდნენ, შემდეგ აფხაზების წინააღმდეგ ომში იბრძოდნენ და სხვაგან გადასახლდნენ.

რაულ ლოლუა მზადაა, შეიმუშაოს დამატება ადგილობრივ სამოქალაქო კოდექსში, რომელიც აუკრძალავს ამ კატეგორიის პირებს უძრავი ქონების დაკანონებას.

ლოლუა განმარტავს, რომ შეზღუდვები უკვე არსებობს, მაგრამ ისინი დასახვეწია. აფხაზური კოდექსის თანახმად, საოკუპაციოდ ითვლება საქართველოს ჯარი. კოდექსით, მოქალაქეებს, რომლებიც იბრძოდნენ ან იბრძვიან აფხაზეთის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის წინააღმდეგ, მონაწილეობდნენ საბრძოლო მოქმედებებში აფხაზეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ და ეხმარებოდნენ საოკუპაციო ჯარებს, მემკვიდრეობის უფლება არ გააჩნიათ.

შესაბამის მუხლს ემატება ჩანაწერი მათი ოჯახის წევრებზე. ეს იმას ნიშნავს, რომ აფხაზეთის ომში რუსეთის წინააღმდეგ ნაბრძოლი მეომრის შთამომავალს კანონიერ ქონებაზე პრეტენზია ვერ ექნება.

ქონების გაფორმებაზე აფხაზეთში მცხოვრებ ქართველებს ისედაც დაბრკოლებები აქვთ შექმნილი. ბოლო წლებში აფხაზურ პასპორტებს არ აძლევენ. ბინადრობის მოწმობით ქონებას ვერ დაიკანონებ. ზოგჯერ მათთვის ბინადრობის მოწმობებიც მიუწვდომელია.



შესაძლოა, ქართველების გაურკვეველი მდგომარეობა და ჩაგვრა, ან ომის გახსენება გახდეს „საპრეზიდენტო“ კანდიდატების წინასაარჩევნოდ გასააქტიურებელი საკითხი.

კოდექსში დამატების შეტანის ინიციატორი ხალხს აჯერებს, რომ ვეტერანების მოთხოვნას ასრულებს, რაც ეჭვებს ბადებს.

თუ საოკუპაციო რეჟიმის კანონმდებლები საზოგადოების დაკვეთებს ეყრდნობიან, მაშინ მათ იმ საინიციატივო ჯგუფის მოთხოვნაც უნდა შეასრულონ, რომელიც კორუფციასთან ბრძოლას ეხება. მოქალაქეთა ჯგუფი აუცილებლად მიიჩნევს დეკლარაციების შევსების შემოღებასა და უკანონოდ გამდიდრებულების სისხლის სამართლის წესით დასჯას.

მათი თქმით, მაღალჩინოსნების დანახარჯები ათასობით აღემატება მათ ხელფასებს. ისინი ხსნიან აფთიაქებს, სასტუმროებს, სხვა ობიექტებს როგორც აფხაზეთში, ისე სოჭში.

ამ დღეებში გამოქვეყნებული აფხაზეთის კონტროლის პალატის მასალების თანახმად, შარშან გამოვლენილია საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო სახსრების გამოყენების 270 მილიონი რუბლის არამიზნობრივი და არაეფექტური გამოყენების შემთხვევები.

წინასაარჩევნოდ ოკუპირებულ რეგიონში თვალშისაცემია კორუფცია, მძიმე სოციალური მდგომარეობა და კრიმინალის თარეში. ამას ახლავს პოლიტიკური დაძაბულობა.

ამ ქაოსურ დროს საოკუპაციო რეჟიმი ფიქრობს ქართველების მიმართ ახალ დისკრიმინაციულ გადაწყვეტილებებზე.

აფხაზეთში არსებულ ვითარებას ფეთქებადსაშიშად აღიარებენ პოლიტიკოსები და საზოგადოების წარმომადგენლები. იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი ტარას შამბა აღნიშნავს, რომ აფხაზეთში გაჭიანურებული კრიზისია და ბევრს 2004 წლის მოვლენების გამეორების ეშინია. მისი აზრით, „საპრეზიდენტო“ არჩევნები ან კრიზისიდან გამოსავალი იქნება, ან საბოლოო კატასტროფა.

იკვეთება დაპირისპირება გამოცდილ პროფესიონალ, იდეებგაცვეთილ პოლიტიკოსებსა და გამოუცდელ ამბიციურ ახალგაზრდებს შორის. კონფლიქტი რომ არ გაღრმავდეს, უნდა მოხდეს თამაშის წესებზე შეთანხმება, ხოლო არჩევნების შედეგებზე კამათი ცივილიზებულად უნდა წარიმართოს. ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის აუცილებელია დიალოგი ნებისმიერ შემთხვევაში.

საარჩევნო დაძაბულობაზე საუბრების მიუხედავად, საჯაროდ ჯერ მხოლოდ ერთი პრეტენდენტი გამოიკვეთა – ასტამურ თარბა.

„საპრეზიდენტო“ არჩევნებში მოსალოდნელია ასევე მოქმედი პრეზიდენტის, რაულ ხაჯიმბასა და აქტიური ოპოზიციონერის, დეპუტატ ასლან ბჟანიას მონაწილეობა. შესაძლოა, თავისი კანდიდატი წამოაყენოს პოლიტიკოსების ახალგაზრდულმა ფრთამაც.

კანდიდატებს მოუწევთ საუბარი იქ მცხოვრებ ქართველებზე, რომლებსაც ყველანაირი სტატუსი და ქართულ ენაზე სწავლის უფლება წაართვეს.

# ნინო გვენეტაძე მოსამართლეთა კლანისთვის მიუღებელი აღმოჩნდა

გულიკო ბალაძე



სასამართლო ხელისუფლების ირგვლივ ვნებათაღელვა ჩაცხრა და სრული დუმილი გამეფდა. ყველაფერი ჯერჯერობით იმით დამთავრდა, რომ რამდენიმე დღის წინ, საქართველოში ვენეციის კომისია იმყოფებოდა, რომელიც ყველა მხარეს შეხვდა – ხელისუფლების, ოპოზიციის, არასამთავრობო სექტორისა და იუსტიციის საბჭოს წარმომადგენლებს. კომისიამ ყველა მხარეს მოუსმინა.

უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლე **თამარ ლალიაშვილი** „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ საზოგადოების დუმილი დროებითია, ზეწოლა გაგრძელდება მას შემდეგ, რაც ვენეციის კომისია დასკვნას დადებს.

პარლამენტმა მოსამართლეთა შერჩევის შესახებ ე.წ. კობახიძის კანონპროექტი პირველი მოსმენით მიიღო. კანონპროექტი „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში ცვლილებებს ითვალისწინებს და უზენაეს სასამართლოში უვადოდ დასანიშნი მოსამართლეების შერჩევის პროცედურებსა და კრიტერიუმებს განსაზღვრავს.

კანონს 89 უმრავლესობის დეპუტატმა დაუჭირა მხარი, 31 კი წინააღმდეგი იყო. საზოგადოება და არასამთავრობო სექტორი მოსამართლეთა გამწესების შესახებ კანონში ცვლილებებს ვენეციის კომისიის დასკვნის შემდეგ ელოდებიან. თუმცა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ხელისუფლება რადიკალურ ცვლილებებზე წავიდეს.

***– ქალბატონო თამარ, თქვენი შეფასებით, როგორ დასრულდა მთელი აურზაური და ბრძოლა სასამართლო სისტემისა და მოსამართლეთა კორპუსის გაუმჯობესების თაობაზე?***

– სასამართლო სისტემისა და მოსამართლეთა კორპუსის გაუმჯობესებისთვის ბრძოლა ჯერ არ დასრულებულა. ეს „აურზაური“ სერიოზული თემაა, რადგან ეს ქვეყნის მომავალს ეხება. სასამართლო არის ერთ-ერთი მთავარი დამბალანსებელი, ბოძი, ღერძი, რომელმაც უნდა დააბალანსოს ქვეყანაში ხელისუფლების გადანაწილება იმისათვის, რომ სამართლებრივი სახელმწიფო გვქონდეს.

სწორედ სასამართლო არის გარანტი იმისა, თქვენი უფლება, ჩემი უფლება თუ სხვისი უფლება, ვისი უფლებაც დაირღვევა, ვიღაც კერძო პირებისაგან დამოუკიდებლად, დამოუკიდებელ სასამართლოში იქნება განხილული. სასამართლო ხელისუფლების გაჯანსაღებისთვის ბრძოლა არ დამთავრებულა.

***– პარლამენტმა ხომ მიიღო დადგენილება?***

– პირველი მოსმენით მიიღო და ვენეციის კომისიის დასკვნას ელოდებიან. ვენეციის კომისიის დასკვნის შემდეგ, დისკუსიები და ცხარე ბრძოლები აუცილებლად განახლდება.

ვენეციის კომისია ჩამოვიდა, შეხვედრები იყო არა მხოლოდ პარლამენტის წევრებთან და მოსამართლეებთან, არამედ ოპოზიციური ძალებისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებსაც შეხვდნენ. წერილიც გაიგზავნა, რომელსაც მეც ვაწერ ხელს, რომ დღეს სასამართლოში ძალიან მძიმე მდგომარეობაა.

***– ვენეციის კომისიის სტუმრობა გასაგებია – მხარეები შეხვდნენ და თავიანთი მოსაზრებები გაუზიარეს იმ ფონზე, როცა პარლამენტს გადაწყვეტილება უკვე მიღებული ჰქონდა. ახლა კი სრული დუმილია.***

– ვენეციის კომისიის დასკვნას ველოდებით, რას იტყვის. პარლამენტში დოკუმენტი ჯერ ერთი მოსმენითაა მიღებული. ველოდებით, რა საკითხებზე იმსჯელებს ვენეციის კომისია. ამიტომ არის დუმილი. დაველოდოთ, რას იტყვის ვენეციის კომისია და ამ საკითხზე მსჯელობა განახლდება.

***– ვენეციის კომისიის დასკვნა უკან მიდევნებული ლამპარივით ხომ არ იქნება. ხომ არ იტყვიან, გადაწყვეტილება მივიღეთ და მორჩაო?***

– არა მგონია. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ გამოაქვეყნა მონაცემები, სადაც საზოგადოება ამბობს, რომ კლანი სასამართლოდან უნდა გავიდეს. ვფიქრობ, საზოგადოების ზეწოლა გაიზრდება. აუცილებლად გაიზრდება და, საბოლოო ჯამში, საზოგადოებისთვის სასურველი შედეგი დადგება.

არც ერთ ხელისუფლებას არ უნდა აწყობდეს ის, რომ დამოუკიდებელი სასამართლო არ ჰქონდეს. დამოუკიდებელი სასამართლოს არ ქონა ყველასთვის ძალიან ცუდ შედეგებს ნიშნავს – ხელისუფლებისთვისაც და საზოგადოებისთვისაც. ამის გამოცდილება გვაქვს.

***– ანუ ახლა დუმს საზოგადოება, მაგრამ ხელისუფლებაზე ზეწოლა გაძლიერდება?***

– დიახ, დროებით გაჩერებულია კრიტიკა. არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა ვენეციის კომისიას ოფიციალური წერილით მიმართეს და ყველა დასაბუთებული არგუმენტები წარუდგინეს, რა პრობლემებია ამ მხრივ ქვეყანაში და რა საჭირბოროტო საკითხებზე უნდა იმსჯელოს ვენეციის კომისიამ.

მსჯელობა უნდა იყოს არა მარტო სამართლებრივ ნორმებზე, არამედ, რეალურად, უნდა გაითვალისწინონ ის ვითარება, რაც გვაქვს.

***– როგორც ვიცი, ვენეციის კომისიას მურუსიძეც შეხვდა. თურმე მურუსიძე მოსამართლეთა ასოციაციის თავმჯდომარეც ყოფილა, ანუ არც ერთი წახნაგი სასამართლო ხელისუფლებაში არსებული კლანის მიღმა არ რჩება. ასეთ სიტუაციაში როგორ ფიქრობთ, კლანი ადვილად დათმობს ძალაუფლებას?***

– სასამართლოში მოკალათებული კლანი არაფერსაც არ დათმობს. ეს ის ადამიანებია, რომლებიც სასამართლო ხელისუფლებით მდიდრდებიან, კეთილსინდისიერების განცდა, საერთოდ, არ გააჩნიათ. მათ ყველაფერზე გადაბიჯება შეუძლიათ. როდესაც ადამიანს სინდისის ძარღვი არ აქვს და გაწყვეტილი აქვს, მისთვის ცხოვრება და არსებობა ადვილია.

***– ანუ არ დათმობენ?***

– არც არაფერს დათმობენ და არც არაფერს დაკარგავენ, მით უმეტეს, რომ მმართველი პოლიტიკური ძალისაგან საკმარისად დიდი მხარდაჭერა აქვთ. ამ ვითარებაში ყველაზე სამწუხარო ეს არის. ამიტომ წინ დიდი ბრძოლები გველის.

***– ნინო გვენეტაძე იძულებული გახადეს, მიეტოვებინა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობა. ამაში ეჭვი არც არავის ეპარებოდა. ეს რას ნიშნავს?***

– ნინო გვენეტაძე, რა თქმა უნდა, იძულებული გახადეს, რომ წასულიყო. ის მოვლენები, რაც მის გარემო განვითარდა, ამის მაჩვენებელია. მე ვიცნობ ნინო გვენეტაძეს, ერთად ვიბრძოდით და ვიცი, როგორი კრიტიკული და მებრძოლი იყო. შესაბამისად, აშკარაა, რომ მისი ასეთი უეცარი წასვლა პოსტიდან, მურუსიძეების გამარჯვებას უკავშირდება. ნინო გვენეტაძესთან ბრძოლაში მურუსიძეებმა გაიმარჯვეს. ნინო გვენეტაძეს მურუსიძეებმა კიდევ ერთხელ მოუგეს.

***– საინტერესოა, კონკრეტულად, რა იყო მათ შორის წინააღმდეგობის მიზეზი?***

– ნინო გვენეტაძე ვერავისთან შევა ისეთ ბინძურ გარიგებაში, როგორშიც კლანის წევრები შედიან. შესაბამისად, მათთვის ნინო ზედმეტი ფიგურა იყო. მთელი სასამართლო სისტემა მურუსიძეებს ჩაუგდეს ხელში. ამიტომ კლანს ნინო გვენეტაძე რაში სჭირდებოდა.

აქედან გამომდინარე, ნინო გვენეტაძე აიძულეს წასულიყო. ამისთვის კლანმა ყველაფერი გააკეთა. თუმცა, არ ელოდნენ, რომ საზოგადოებისაგან ისეთ წინააღმდეგობას მიიღებდნენ, რაც მიიღეს. რა ბრძოლებიც გაიმართა, იმ ბრძოლებს ნამდვილად არ ელოდნენ.

სასამართლოში მოკალათებულ კლანს ეგონა, პარლამენტი მიიღებდა ქაღალდის ნაგლეჯზე დაწერილ სიას, ჩინჩალაძე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე გახდებოდა. შესაბამისად, კორუფცია და განუკითხაობა გაგრძელდებოდა მათი მიზნებისა და გეგმების შესაბამისად.

***– ხომ არ იცით, ნინო გვენეტაძემ რატომ არჩია ჩუმად წასვლა და რატომ არ გააკეთა განცხადება?***

– არ ვიცი. მე მხოლოდ შემიძლია ვივარაუდო, რომ ნინო გვენეტაძე დიდი წნეხის ქვეშ იმყოფებოდა. რა მოხდა და როგორ მოხდა, ამის თქმა მხოლოდ ნინო გვენეტაძეს შეუძლია.

ეკონომიკა

# „ბატონო კახა, თქვენ როგორც ფეხით, ისე მანქანით მოსიარულე თბილისელების მერი ხართ!“

ჩვენს ხელისუფლებას რომ სწორი მენეჯმენტი და მართვა უჭირს, ეს ახალი თემა არ არის. ეს პრობლემა უამრავ სფეროშია და ამაზე სხვადასხვა დროს „კომერსანტიც“ არაერთხელ წერდა. ამჯერად, გვინდა თბილისის მერის ინიციატივას შევეხოთ, რომელიც ქალაქის ცენტრალურ გამზირზე მანქანების გაჩერებას ზღუდავს. მაგალითად, რამდენიმე კვირის წინ, მერიამ დააანონსა, რომ ჭავჭავაძის გამზირზე კერძო ავტომანქანები გაჩერებას ველარ შეძლებენ. თბილისის მთავრობის ხედვაა, საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარება, რისთვისაც ახალი BusLane-ბი შეიქმნება.

თბილისის სატრანსპორტო სამსახურის უფროსის, მამუკა მუმლაძის განცხადებით, ჭავჭავაძის გამზირზე კერძო ავტომობილის გაჩერება აღარ იქნება შესაძლებელი და ტაქსებიც მოქალაქეებს კონკრეტულ ადგილზე მიაკითხავენ.

შეზღუდვა დაწესდა თბილისის ცენტრალური ქუჩების სხვადასხვა უბანზე, მათ შორის, კოსტავას გამზირზეც, სადაც თბილისის მერიამ რკინის ბარიერები დაამონტაჟა.

ქალაქის მერს გვინდა შევახსენოთ, რომ თბილისი არის როგორც ფეხით მოსიარულეთა, ისევე იმ მოქალაქეების ქალაქი, რომლებიც მანქანით გადაადგილდებიან. ორივე შემთხვევაში, ადამიანებს თანაბარი უფლებები აქვთ. პატივცემული კახა, საკუთარ თავს ორივე კატეგორიის თბილისელების მერად უნდა თვლიდეს. ძალიან ბევრი მანქანით მოსიარულე თბილისელი, ხშირად მისთვის საინტერესო ობიექტზე ვერ შედის იმ მიზეზით, რომ იქ მანქანას ვერ აჩერებს.



პრობლემა კომპლექსურია, თუმცა, ამას სწორად და ჭკვიანურად გადაჭრა სჭირდება. პირველ რიგში, უნდა დარეგულირდეს გამკაცრებული ტექდათვალიერებით, რათა ქალაქის ქუჩებში არ დადიოდეს ათწლეულების წინ გამოშვებული მანქანები. ამის შემდეგ უნდა მოეწყოს მიწისქვეშა და მიწისზედა პარკინგები, მოწესრიგდეს სატრანსპორტო სისტემა. ამის შემდეგ ავტომობილის გაჩერების შეზღუდვა ძალიან ლოგიკური იქნება და პრეტენზიასაც ვერავინ გამოთქვამს.

ბატონი კახა კალაძე წლების განმავლობაში მილანში ცხოვრობდა, ევროპის დედაქალაქებში ჩვენც ვართ ნამყოფი, მათ შორის ავტომობილით, ამიტომ მას კარგად უნდა ახსოვდეს, რომ იქ უამრავი მიწისქვეშა და მიწისზედა პარკინგია. უამრავ ადგილზეა შეზღუდვა, თუმცა, ლამის ყოველი ფეხის ნაბიჯზეა მიწისქვეშა და მიწისზედა ავტოსადგომები.

ანუ შეზღუდვა დამატებითი საპარკინგე ადგილების გაჩენის გარეშე, ეს არის არაკვალიფიციური მენეჯმენტის სტილი.

მიწისქვეშა პარკინგების მოწყობა ორი წლის წინ, ჯერ კიდევ დავით ნარმანიას მერობის დროს დაანონსდა, თუმცა, როგორც ბევრ სხვა შემთხვევაში ხდება, „ქართულმა ოცნებამ“ ამის განხორციელებას თავი ვერ მოაბა და გამოსავალი ყველაზე მარტივი გზით (ვგულისხმობთ, ცენტრალურ გამზირებზე რკინის ბარიერების დამონტაჟება) გამონახა. ანუ პრობლემა პრობლემით ჩაანაცვლა.

ამას ემატება ისიც, რომ პიკის საათებში ქალაქის ქუჩებში გადაადგილება თითქმის წარმოუდგენელი ხდება. ეს ცალკე თემაა და აღარ ვსაუბრობთ იმაზე, ქალაქში დამატებითი შემოვლითი გზები, ესტაკადები, ხიდები და ა.შ. რომ არ კეთდება.

თბილისის მერს კიდევ ერთხელ გვინდა შევახსენოთ, რომ თბილისში ცხოვრობენ როგორც ფეხით მოსიარულე, ისე მანქანით მოძრავი ადამიანები და ორივე კატეგორიას ჭკვიანური მიდგომა სჭირდება.

ბატონო კახა, თქვენ როგორც ფეხით მოსიარულე მოქალაქეების, ისე მანქანით მოსიარულე თბილისელების მერი ხართ!

**კომერსანტი**

# „მე არ ვიცი, რა არის ეროვნული ბანკის ოპტიმიზმის განსაკუთრებული მიზეზი“



„ეროვნული ბანკი თვითონვე აღიარებდა, რომ მოკლევადიან პერიოდში ეს რეგულაციები ეკონომიკურ ზრდაზე უარყოფითად აისახებოდა. გრძელვადიან პერიოდში კი იმედი აქვთ, რომ რისკის შემცირება პირიქით დადებითად აისახება“, – ასეთ შეფასებას „კომერსანტთან“ „საზოგადოება და ბანკების“ დამფუძნებელი გიორგი კეპულაძე აკეთებს.

მისი განცხადებით, ხელისუფლების წარმომადგენლები არ მალავენ, რომ გარკვეული მიმართულებით საჭიროა რეგულაციების შერბილება. მაგალითად, სამშენებლო სექტორში, რომელიც უმსხვილესია ჩვენი ეკონომიკისთვის, თუ წარმოიშობა კონკრეტული პრობლემები, ეს ქვეყნის ეკონომიკაზე პირდაპირ აისახება.

– მაგალითად, მსოფლიო ბანკის დასკვნა, რომელიც საკმაოდ ადეკვატურია. ვგულისხმობ იმას, რომ ეს რეგულაციები შესაძლოა აფერხებდეს ეკონომიკურ ზრდას. მე არ ვიცი, რა არის ეროვნული ბანკის ოპტიმიზმის განსაკუთრებული მიზეზი, რადგან აღქმის დონეზეც კი საკმაოდ უარყოფითია დამოკიდებულება როგორც ბიზნესის, ასევე მომხმარებლების მხრიდან. ყოველ შემთხვევაში დადებითის მთქმელი ნაკლებად ჩანს, – აცხადებს კეპულაძე.

შეგახსენებთ, მსოფლიო ბანკმა საბანკო რეგულაციების ფონზე, საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდის პროგნოზი 5%-დან 4.6%-მდე შეამცირა. თავის მხრივ, ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა კობა გვენეტაძემ დღეს პარლამენტში გამოსვლისას იპოთეკური დაკრედიტების ახალი სტანდარტების შემოღების მიზეზები ახსნა და განმარტა, რომ ე.წ. „მტაცებლურმა“ დაკრედიტებამ მოსახლეობის დიდი ნაწილი ძალიან რთულ მდგომარეობაში ჩააყენა.

**კომერსანტი**

# პარლამენტმა აზარტული და მომგებიანი თამაშების რეკლამის აკრძალვის შესახებ კანონპროექტს მხარი არ დაუჭირა

პარლამენტმა დეპუტატ ლევან გოგიჩაიშვილის საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც აზარტული და მომგებიანი თამაშების რეკლამის აკრძალვას ითვალისწინებდა, ჩააგდო.

2 თვეზე მეტია, რაც აღნიშნული საკანონმდებლო პაკეტი კენჭსაყრელ საკითხთა დღის წესრიგშია და მას პირველი მოსმენით დღეს უყარეს კენჭი. საკანონმდებლო ინიციატივას მხოლოდ 42-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი და ამ შედეგით ჩავარდა.

კენჭისყრას წინ დებატები უძღოდა. თავდაპირველად განცხადება ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ მამუკა მდინარაძემ გააკეთა, რომელმაც განმარტა, რომ უმრავლესობა პროექტის სულისკვეთებას იზიარებს, მაგრამ მხარს არ უჭერს ნორმას, რომლის მიხედვით, აზარტული თამაშების გარე რეკლამის განთავსება დაწესებულებებიდან 200 მეტრის რადიუსში უნდა აიკრძალოს. მდინარაძემ განმარტა, რომ თუკი ინიციატორი პროექტს ახლიდან, ახალი ფორმულირებით შემოიტანს, უმრავლესობა მას მხარს დაუჭერს.

აღნიშნული არგუმენტი მიუღებელი აღმოჩნდა თავად ლევან გოგიჩაიშვილისთვის. მან დღეს ხაზგასმით აღნიშნა, რომ პროექტის ინიციატორები მის გარდა, უმრავლესობის წევრებიც არიან.

– თუკი პროექტის სულისკვეთებას იზიარებთ, მხარი დაუჭირეთ მას და თქვენი სახელი დაარქვით, ოღონდ მიიღეთ ხალხისთვის, – მიმართა ლევან გოგიჩაიშვილმა მმართველ გუნდს.

უმრავლესობიდან დეპუტატები დიმიტრი ცქიტიშვილი, სოფო კილაძე და გია ვოლსკი კენჭისყრის გადადებისა და შემდგომი კონსულტაციების გაგრძელების წინადადებით გამოვიდნენ, თუმცა მათი ამ შეთავაზების გაზიარება არ მოხდა.

პარლამენტის მიერ ჩაგდებული პროექტის გათვალისწინებით, იკრძალება აზარტული და მომგებიანი თამაშობების რეკლამა და 10.000 ლარიანი ჯარიმის დაკისრების საფუძველი ხდება. პროექტის თანახმად, იკრძალება აზარტული და მომგებიანი თამაშობების რეკლამის გავრცელება რელიგიურ, საბავშვო, სასწავლო, სამედიცინო, სპორტულ და კულტურის დაწესებულებებში, აგრეთვე გარე რეკლამა მათგან 200 მეტრის რადიუსში.

ამავე პროექტით აკრძალვას ექვემდებარება ქართული საგადასახადო ბარათებით უცხოურ აზარტულ და მომგებიან თამაშებზე ონლაინ გადახდების განხორციელება.

## ეკა ქვლივიძე 28.000 ლარით აღარ დაჯარიმდება

### რაზე შეთანხმდნენ მფრინავი ქალი და თავდაცვის სამინისტრო



თავდაცვის სამინისტროსა და სამხედრო მფრინავს, ეკა ქვლივიძეს შორის შეთანხმება შედგა. უწყება სასამართლოდან სარჩელს გამოიტანს და მფრინავი 28 ათასი ლარით აღარ დაჯარიმდება.

ამ გადაწყვეტილებით დასრულდა 5 აპრილს მინისტრთან და საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურთან, ვლადიმერ ჩაჩიბაიასთან, ორსაათიანი შეხვედრა.

ეკა ქვლივიძის თქმით, ის შეინარჩუნებს თავის კვალიფიკაციას და გააგრძელებს საავიაციო უნივერსიტეტში მფრინავ-ინსტრუქტორად მუშაობას.

მისივე განმარტებით, როგორც კი იქნება შესაძლებლობა, განახორციელებს ფრენებს, როგორც სამხედრო მფრინავი.

– ორივე მხარის პოზიცია იქნა გათვალისწინებული და თავდაცვის სამინისტრო თავის მხრივ სარჩელს გამოიხმობს და პარალელურ რეჟიმში, მე სამოქალაქო ცხოვრებაში ჩემი კვალიფიკაციის შენარჩუნების მიზნით, მექნება იმის საშუალება, რომ რაღაც პერიოდის განმავლობაში, სამოქალაქო განხრით ვიფრინო, ჩემი კვალიფიკაცია შევინარჩუნო. პარალელურად, მე მზაობა გამოვხატე, რომ იგივე გორში, სამხედრო აკადემიაში, როგორც მოწვეულმა სპეციალისტმა, ლექციები ჩავატარო და მომავალ თაობას ვასწავლო და როგორც კი საშუალება იქნება, შემდგომში იმის, რომ მე როგორც მფრინავი, პრაქტიკული ფრენების განხორციელების საშუალება როგორც კი მექნება, თავდაცვის სამინისტროში აღვდგები, როგორც სპეციალისტი სამხედრო კადრი, – განაცხადა ქვლივიძემ.

მფრინავი თავდაცვის სამინისტროს გენდერული ნიშნით დისკრიმინაციაში ადანაშაულებდა. უწყება კი ყოფილ სამხედრო მოსამსახურეს კონტრაქტის დარღვევისთვის 28 ათას ლარს სთხოვდა.

## „ბარსელონაში ქართველები ამ დღეში ზალკალიანმა ჩაგვყარა“

„ახალი თაობა“ უკვე წერდა, რომ 4 აპრილს ბარსელონაში სპეცოპერაციის დროს საქართველოს მოქალაქეები დააკავეს.

ქვეყანაში მცხოვრები ქართველების ნაწილი გაუსაძლისი მდგომარეობის შესახებ საუბრობს. მათი ინფორმაციით, ვითარება მას შემდეგ გართულდა და ესპანეთის სამართალდამცველებმა მათზე იერიში მას შემდეგ მიიტანეს, რაც ქვეყანაში ოფიციალური ვიზიტით საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი იმყოფებოდა.

– როგორც ესპანეთის მხარე აცხადებს, დაკავებულია დაახლოებით 11-მდე ქართველი, რომლებიც შემჩნეული არიან კრიმინალში, ბინების გატეხვაში, გაქურდვაში. დაახლოებით 200-მდე პოლიციელი შევიდა, ალყა შემოარტყეს შენობას და, ძირითადად, პოლიცია ამბობს, რომ ეს იყო კრიმინალების წინააღმდეგ ჩატარებული სპეცოპერაცია.

ქართველები ამ მდგომარეობაში არიან დავით ზალკალიანის ჩამოსვლის შემდეგ. ძალიან გაფუჭდა ქართველების მდგომარეობა. იმ ქართველების, რომლებიც ოჯახებთან არიან, პატარა ბავშვებთან ერთად არიან. წითელ ჯვარში აღარ იბარებენ და ხალხი არის ძალიან გაუსაძლის მდგომარეობაში, – განაცხადა „კურიერთან“ საუბრისას ესპანეთში მცხოვრებმა ქართველმა გიორგი ნოზაძემ.

ბარსელონაში ჩატარებულ მასშტაბურ სპეცოპერაციაზე კომენტარი გააკეთა საქართველოს კონსულმა. ქეთევან გოგოლაშვილი ამბობს, რომ არ ფლობს ოფიციალურ ინფორმაციას 4 აპრილს ჩატარებულ სპეცოპერაციაზე, თუმცა აცხადებს, რომ დაკავებულია საქართველოს 66 მოქალაქე.

კონსულის თქმით, 6 დაკავებული იმავე დღეს გაათავისუფლეს. მისი ვარაუდით, დაკავებულების ნაწილი წინასწარ პატიმრობაში ციხეში გადავა, ნაწილი კი საემიგრაციოში იქნება მოთავსებული.

– ოფიციალურად დაკავებულია 66 ადამიანი, 26 იყო, სავარაუდოდ, კრიმინალი და დანარჩენი 40 არალეგალი. დაკავებულიდან 6 გაუშვეს. თუ არალეგალებს არ დაუმტკიცდათ დანაშაული, ისინი, ალბათ, სავარაუდოდ, დეპორტირებულები იქნებიან სპეცრეისით, დანარჩენ კრიმინალებზე გაიმართება გამოძიება. კრიმინალური პოლიცია დეტალებს არ ახმოვანებს, რადგან დიდი ხნის წინ დაგეგმილი სპეცოპერაცია იყო, შესაბამისად, ინფორმაცია არ




გამოდის. ძალიან კარგი კონტაქტები გვაქვს პოლიციასთან, – განაცხადა ქეთევან გოგოლაშვილმა.

კონსულის თქმით, საქართველოს მოქალაქეები ბარსელონაში ძირითადად პოლიტიკური თავშესაფრის მოთხოვნით ჩამოდიან, რაზეც უარს ეუბნებიან.

– ეს ხალხი, რომელიც აქ ჩამოდის, ითხოვს პოლიტიკურ თავშესაფარს, მათ თვითონაც არ იციან, რომ ამას ითხოვენ. როცა სამუშაოს ითხოვენ, ეს სხვა რამეა, მაგრამ პოლიტიკურ თავშესაფარს არ აძლევენ, რასაც ეს ხალხი ითხოვს. ევროპის ბევრ ქვეყანაში შეყვანილი ვართ, როგორც უსაფრთხო ქვეყანა. რჩებიან უკეთესი ცხოვრების საძებნელად, შემოსავლის საძებნელად.

ეს ხალხი ძირითადად ერთი და იგივე ტექსტით ჩამოდის, სადღაც მუშაობდნენ, ვიღაცის მომხრე იყვნენ და სამსახურიდან გამოაგდეს. ქართველებს ვურჩევდი, რომ ასე დაუფიქრებლად არ ჩამოვიდნენ, – განაცხადა ქეთევან გოგოლაშვილმა

## „დავით ბაგრატიონი დაკითხვაზე უნდა დაებარებინათ“



ანა ბაგრატიონ-გრუზინსკის ადვოკატ ელისო რუხაძის განცხადებით, ანა ბაგრატიონმა გამოძიებას მიაწოდა ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაცია, თუმცა მას გაუთქმელობის ვალდებულება აქვს და დეტალებზე ვერ ისაუბრებს.

როგორც რუხაძემ ჟურნალისტებს ანა ბაგრატიონ-გრუზინსკის მრავალსაათიანი გამოკითხვის შემდეგ განუცხადა, ანა ბაგრატიონის მონაყოლი, მისი მოსაზრებით, შეიცავს სხვადასხვა დანაშაულის ნიშნებს, მათ შორის, ცემის ფაქტთან დაკავშირებით.

– დასრულდა მრავალსაათიანი გამოკითხვა. ანა ბაგრატიონმა გამოძიებას მიაწოდა ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაცია. ხელი გვაქვს მოწერილი გაუხმაურებლობის ხელწერილზე, რაც ნიშნავს ვალდებულებას, რომ ჩვენ ვერ ვისაუბრებთ დეტალებზე. ერთადერთი, რისი განცხადებაც, ვფიქრობ, აუცილებელია, ეს არის ჩემი კოლეგის, ლევან ჩხაიძის განცხადება, რომელიც მიიჩნევს, რომ სამართალდამცავი ორგანოებისთვის მიმართვა თურმე არის სირცხვილი და ჩვენ, ანა ბაგრატიონ-გრუზინსკი და მე, სამი დღის მანძილზე ტყუილად ვკარგავთ დროს.

ეს ასე ნამდვილად არ არის და ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია, რასაც ანა ბაგრატიონი აკეთებს და ეს არ არის ის, რასაც ლევან ჩხაიძე კამერების წინაშე გიცხადებთ. დეტალებთან დაკავშირებით, კიდევ ერთხელ ვაცხადებ, რომ ვერ გეტყვით, თუმცა მივაწოდეთ დეტალური ინფორმაცია, რომელიც, ჩემი მოსაზრებით, შეიცავს სხვადასხვა დანაშაულის ნიშნებს. მათ შორის, ცემის ფაქტთან დაკავშირებით, – განაცხადა ელისო რუხაძემ.

კითხვაზე, თუ ვისი პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება დადგეს, ადვოკატი პასუხობს, რომ სამართალდამცავების გადასაწყვეტია, თუ რა ფორმით გაგრძელდება გამოძიება.

– ეს არის სამართალდამცავების და პროკურატურის გადასაწყვეტი, თუ რა ფორმით, რა მოცულობით, რომელი მუხლით გაგრძელდება გამოძიება და რას იზამს. შესაბამისად, მე არ ვარ კომპეტენტური, ამ კითხვებზე პასუხი გაგცეთ, – აღნიშნა რუხაძემ.

გარდა ამისა, ადვოკატმა თქვა, რომ მას დავით ბაგრატიონ-მუხრანელის მიერ ქვეყნის დატოვების შესახებ ინფორმაცია არ აქვს, თუმცა მიიჩნევს, რომ ის საგამოძიებო უწყებაში გამოკითხვაზე უნდა დაებარებინათ.

– ისევე გავიგე მედიისგან ეს ინფორმაცია, როგორც საზოგადოების სხვა წევრებმა. ვფიქრობ, ის უნდა დაბარებულიყო საგამოძიებო ორგანოებში. მქონდა ეს მოლოდინი, როგორც სხვა საქმეებში ხდება ხოლმე და ვფიქრობთ, რომ დავით ბაგრატიონის მიმართ მოქმედებს სამართლის ნორმები ისევე, როგორც ქვეყნის სხვა მოქალაქეების მიმართ. შესაბამისად, არ ვფიქრობთ, რომ რაიმე პრივილეგიებით უნდა ისარგებლოს ან დავით ბაგრატიონმა, ან ანა ბაგრატიონმა გამოძიების პროცესში.

ეს არის ერთი ჩვეულებრივი ძალადობის და დანაშაულის გამოძიების საქმე და, შესაბამისად, აქ კანონის წინაშე ყველა თანასწორია. მე ჯერ არ გამირკვევია, რის გამო დატოვა მან ქვეყანა, თუმცა, მას შემდეგ, რაც ანა ბაგრატიონის გამოკითხვა დასრულდებოდა, ის უნდა დაბარებულიყო საგამოძიებო ორგანოებში, – განაცხადა ელისო რუხაძემ.

თავად ანა ბაგრატიონ-გრუზინსკის კომენტარი არ გაუკეთებია.

იპნ

## მერეთში მანქანამ 4 წლის ბავშვი გაიტანა

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მერეთში ავტოსაგზაო შემთხვევას 4 წლის ბავშვის სიცოცხლე ემსხვერპლა. სოფელ მერეთში ბავშვს ავტომობილი საკუთარ ეზოსთან დაეჯახა.

ადგილობრივების თქმით, ავტომობილი დიდი სიჩქარით არ მოძრაობდა, თუმცა, შეჯახების შემდეგ 4 წლის ბავშვი გარდაიცვალა.

ბავშვის ცხედარი გორის პროზექტურაში გადაასვენეს. ადგილზე სამართალდამცავები და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადები იყვნენ მობილიზებული.

## იან არველაძემ სამიქაოში ნუგზარ მიქაძე მოკლა და მერე თავი მოიკლა

5 აპრილს მკვლელობა და თვითმკვლელობა მოხდა აბაშის რაიონის სოფელ სამიქაოში.

51 წლის იან არველაძემ საკუთარ მეზობელს სანადირო თოფიდან ესროლა. ნუგზარ მიქაძე ადგილზე გარდაიცვალა.

59 წლის მამაკაცს ფსიქიკური პრობლემების მქონე მეზობელმა ზურგიდან ესროლა.

დანაშაულის ჩადენიდან რამდენიმე წუთში იან არველაძემ საკუთარი სახლის უკანა ეზოში თავი მოიკლა.

ადგილობრივების თქმით, მეზობლებს ერთმანეთთან დაპირისპირება არ ჰქონიათ. არველაძე პერიოდულად სენაკის ფსიქიატრიულ კლინიკაშიც მკურნალობდა.

ცხედრები პროზექტურაშია გადასვენებული. ადგილზე მუშაობდნენ ექსპერტ-კრიმინალისტები.

## ვინ არის კონცერტების ორგანიზატორი ბექა ხალათაშვილი, რომელიც სუს-მა ქრთამის მიცემის ფაქტზე დააკავა



სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციულმა სააგენტომ ქრთამის მიცემის ბრალდებით კულტურული ღონისძიებების ორგანიზატორი ბექა ხალათაშვილი დააკავა.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბექა ხალათაშვილი სიღნაღის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსს დაუკავშირდა და სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის ხარჯებით 2019 წლის 15 აპრილს კონცერტის გამართვა შესთავაზა.

თანხმობის მიღების სანაცვლოდ, ორგანიზატორი საჯარო მოხელეს ქრთამის სახით 2.500 ლარის გადახდას დაჰპირდა და გზავნილის სახით გადაურიცხა, რის შემდეგაც იგი ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა დააკავეს.

როგორც „ამბებმა“ გაარკვია, ხალათაშვილი კახეთში კულტურულ ღონისძიებებს წლების განმავლობაში უკეთებდა ორგანიზებას. რეგიონში თბილისიდან ცნობილი მომღერლები და მსახიობები ჩაჰყავდა და მათი მონაწილეობით კონცერტებსა და კულტურულ ღონისძიებებს აწყობდა.

ცნობილ სახეებს შორის არიან ნინი ბადურაშვილი, თამუნა ამონაშვილი, ქეთი გომართელი, ოთო ნემსაძე და სხვები.

პროდიუსერი წარმოშობით გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ველისციხიდანაა. ჰყავს მეუღლე და შვილი. ხალათაშვილის მეუღლე, მომღერალი მარი მამისმედიშვილია.

რადგან ხალათაშვილის დაკავება სიღნაღში 15 აპრილს ჩასატარებელ კონცერტს უკავშირდება და მან ქრთამი კულტურის სამსახურის უფროსს გადაუხადა, „ამბები“ დაუკავშირდა სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერს, გოგი გოგილაშვილს:

– ჩვენს კულტურის განყოფილებას ღონისძიებების დაგეგმვა და კონცერტების პროდიუსერობა შესთავაზა, თანხის მიცემის სანაცვლოდ. სიღნაღის მერია არასოდეს დავუშვებთ მსგავს უკანონობას. ბუნებრივია, ამ საქმით დაინტერესდნენ შესაბამისი სამსახურები და მათ კანონის ფარგლებში იმოქმედეს, – განაცხადა გოგი გოგილაშვილმა.

საქმეზე გამოძიება ქრთამის მიცემის ფაქტზე სსკ-ის 339-ე მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს. ბექა ხალათაშვილს სასჯელის სახით 4-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# ვლადიმერ ზელენსკი: „ჩემი კურსი ასი პროცენტით პროდასავლური იქნება!“

დასრულდა უკრაინის პრეზიდენტის არჩევნების პირველი ტური. პოლიტოლოგთა პროგნოზი, რომ პროდასავლური ძალები გაიმარჯვებდნენ, გამართლდა. ვლადიმერ ზელენსკის მრჩეველმა სამართლებრივ საკითხებში ირინა ბენედიქტოვამ განაცხადა:

— ზელენსკის კურსი მთლიანად პროდასავლური იქნება!

თავად ზელენსკი უფრო კონკრეტული იყო. ჟურნალისტებს მან განუცხადა, რომ პრეზიდენტ პოროშენკოს საგარეო კურსი არ შეიცვლება.

— ჩემი პოლიტიკა ასი პროცენტით პროდასავლური იქნება, — თქვა ზელენსკიმ.

პრეზიდენტობის კანდიდატი ოკუპირებული ტერიტორიების პრობლემასაც შეეხო. მან ხაზი გაუსვა, რომ დონბასის ომი მხოლოდ უკრაინელთა გამარჯვებით უნდა დამთავრდეს. შეკითხვაზე, ყირიმი ვისიაო, ზელენსკიმ მიუგო:

— ყირიმი უკრაინის კუთვნილებაა და მას უნდა დაუბრუნდეს!

უკრაინის პრეზიდენტის არჩევნების პირველმა ტურმა რუსების იმედები გააქარწყლა. კრემლის გათვლა, რომ ახალი შეტაკებები მოხდებოდა, არ გამართლდა. ასევე არ გამართლდა ვარაუდი, რომ რეგიონებს შორის უდიდესი სხვაობა იქნებოდა. საბოლოოდ კი ეს აღმოსავლეთ-დასავლეთ უკრაინას შორის კონფრონტაციაში გადაიზრდებოდა. ზელენსკის მხარი დაუჭირეს როგორც დასავლეთ, ისე ცენტრალურ და აღმოსავლეთ რეგიონებშიც.



— არჩევნებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ არავითარი დასავლეთი და აღმოსავლეთი უკრაინა არ არსებობს! არის ერთიანი უკრაინა, რომელმაც დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის გზა აირჩია, — აცხადებს უშიშროების სამსახურის ექსშეფი, გენერალი ევგენი მარჩუკი.

თავისი განცხადებით ზელენსკიმ პოროშენკოს უმთავრესი კოზირი გამოაცალა. პეტრო ალექსეევიჩი ამტკიცებდა, რომ ის უკრაინის სუვერენიტეტს იცავს და, თუ ხმას არ მისცემენ, ეს პუტინის მხარდაჭერას ნიშნავს. ახლა ზელენსკიმ თავისი პროდასავლური ორიენტაცია საბოლოოდ და ნათლად დააფიქსირა.

კურსს ევროკავშირსა და ნატოსკენ ალტერნატივა არ აქვს. ასევე უცვლელი დარჩება პოროშენკოს სლოგანი: ენა, არმია, რწმენა. ამავე დროს, კორუფციასთან ბრძოლა გამკაცრდება, არმიის გასაძლიერებლად კი უფრო რადიკალური ნაბიჯები გადაიდგმება. ასეთია ზელენსკის პლატფორმა. ეს მას მოქმედ პრეზიდენტთან პაექრობაში უპირატესობას აძლევს.

— პოროშენკოს სტრატეგიის შეცვლა მოუწევს, — მიიჩნევს პოლიტოლოგი ვიტალი პორტნიკოვი.

უმთავრესი კი ალბათ ისაა, რომ უკრაინა პროდასავლურ კურსს განაგრძობს. მიუხედავად ომისა და სიდუხჭირისა, მოსახლეობა მაიდანის იდეალებს უჭერს მხარს. უკრაინა კვლავაც მზადაა, ეს იდეალები იარაღით დაიცვას.

# პომპეო რუსეთს ემუქრება



აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა მაიკ პომპეომ განაცხადა, რომ რუსეთთან მოლაპარაკება წარუმატებლად დამთავრდა.

საუბარია ვენესუელიდან რუსი სამხედროების გაყვანაზე.

— ჩვენ სხვა საშუალებაც გაგვაჩნია, რათა რუსები იქიდან გავიყვანოთ! მსურს, რუსები გავაფრთხილო, რომ თუ ჭკუას არ მოუხმობენ, ასეც მოხდება, — თქვა პომპეომ.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა არ დააკონკრეტა, ამაში რას გულისხმობდა. მან თქვა, რომ პრეზიდენტი ტრამპი ყველაზე გადამჭრელი ღონისძიებებისთვის მზადაა.

# აშშ-ჩინეთის სავაჭრო მოლაპარაკებები დასასრულს მიუახლოვდა



ვაშინგტონში ჩინეთის ვიცეპრემიერი და სახელმწიფო საბჭოს წევრი ლიუ ხე ჩავიდა. თეთრ სახლში ის პრეზიდენტ ტრამპს შეხვდა. მოლაპარაკებების ძირითადი თემა აშშ-ჩინეთს შორის სავაჭრო შეთანხმება იყო.

დონალდ ტრამპმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ მოლაპარაკებები დასასრულს მიუახლოვდა და ჩინეთ-აშშ-ს შორის შეთანხმების კონტურებიც გამოიკვეთა.

— ყველაფერი კარგად მიდის, მე კმაყოფილი ვარ, — თქვა ტრამპმა.

# გერმანიამ სომხეთ-ევროკავშირს შორის შეთანხმებას მხარი დაუჭირა




ბუნდესტაგმა ხმების აბსოლუტური უმრავლესობით სომხეთ-ევროკავშირს შორის შეთანხმებას მხარი დაუჭირა. მიუხედავად იმისა, რომ სომხეთი ევრაზიული კავშირიდან არ გავიდა, მას ევროკავშირთან მჭიდრო თანამშრომლობა სურს. სომხეთსა და ევროკავშირს შორის შეთანხმებას თანამშრომლობის შესახებ ჯერ კიდევ 2017 წელს მოეწერა ხელი. ზოგი ექსპერტი ვარაუდობდა, რომ ხელისუფლებაში პაშინიანის მოსვლის შემდეგ ეს შეთანხმება შეიცვლებოდა, სომხეთი ევრაზიული კავშირიდან გავიდოდა და კურსს ევროპისკენ აიღებდა. ეს არ მოხდა.

— აზერბაიჯანთან კონფლიქტი იმდენად შორს წავიდა, რომ სომხეთს უკვე არჩევანი აღარ დარჩა. რუსეთს იქით მას გზა აღარ აქვს, — ამბობს ვიტალი პორტნიკოვი.

# ბრძოლები ლიბიაში

ლიბიის სახალხო არმიამ დედაქალაქ ტრიპოლიზე შეტევა დაიწყო. მისი სარდალი ჰალიფ ჰაფტარი აცხადებს, რომ მალე ტრიპოლი აღებული იქნება. ჰაფტარის მეომრები უკვე ტრიპოლის მისადგომებთან იმყოფებიან. შეტევის დაწყების წინ ჰაფტარმა მოსკოვი მოინახულა. ის რუსეთის პრეზიდენტ პუტინს, შემდეგ კი თავდაცვის მინისტრ შოიგუს შეხვდა. შეტევა კი მაშინ დაიწყო, როცა გაეროს ეგიდით ლიბიაში მშვიდობის აღდგენისაკენ მიმართული მოლაპარაკებები იწყებოდა. ჰაფტარის არმიაში რუსი მრჩევლები და ჯარისკაცები იბრძვიან.



**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# პითონმა კურდღელი გადაყლაპა და გალიაში გაიჭედა

ტაილანდის პროვინცია ჩონბურიში პითონი საკურდღლეში შეძვრა და შინაური კურდღელი გადაყლაპა. 57 წლის ამპორნ სირიმაჰამ 4,9 მეტრი სიგრძის გველი იმ დროს შენიშნა, როდესაც თავის კურდღლებს საკვები მიუტანა, რომლებიც მის ეზოში ბინადრობენ.

— სახურავის ქვეშ პითონის დანახვამ შოკში ჩამაგდო, მაგრამ კიდევ უფრო დიდ შოკში ჩამაგდო ჩემი ყავისფერი კურდღლის გაუჩინარებამ, — იხსენებს მამაკაცი. ქვეწარმავლის გამობერილი მუცლით კი ნათელი გახდა, თუ სად გაუჩინარდა მისი კურდღელი.



სირიმაჰამ ხმაური ატეხა გველის გასაგდებად, მაგრამ ის ადგილიდან არ იძვროდა. მის მუცელში აღმოჩენილი კურდღლის გამო ის საკურდღლის სახურავსა და ხის ტიხარს შორის გაიჭედა. მას მხოლოდ ისღა დარჩენოდა, რომ გადაყლაპული კურდღლის მონელებას დალოდებოდა. მამაკაცმა გველებზე მონადირეები გამოიძახა. სპეციალისტებმა გველის გამოყვანა მოახერხეს და შემდეგ უსაფრთხო ადგილას გაუშვეს.

# მანქანის გაწმენდამ ოჯახი გაამდიდრა

ამერიკის მერილენდის შტატის მცხოვრები ოჯახი საკუთარ მანქანას იქ დაგროვილი ნაგვისგან ასუფთავებდა, როდესაც მასში ლატარიის ბილეთი იპოვა, რომელსაც 250 ათასი დოლარი ჰქონდა მოგებული.

აღნიშნული შემთხვევა უაიკომიკოს ოლქში 1 აპრილს მოხდა. მეუღლეები მანქანას ალაგებდნენ და კარის ჯიბეში ლატარიის ბილეთი იპოვეს, რომელიც ერთ კვირაზე მეტი ხნის წინ იყო ნაყიდი. მამაკაცმა მაშინვე შეამოწმა გათამაშების შედეგები და მათი ბილეთი მომგებიანი აღმოჩნდა.

რამდენიმე წლის წინ ისინი უკვე იყვნენ ლატარიის გათამაშების გამარჯვებულები. მაშინ მათმა მოგებამ 100 ათასი დოლარი შეადგინა. აზარტული თამაშების მოყვარულმა წყვილმა აღიარა, რომ მოგებულ თანხას ახალი სახლის შეძენაში დახარჯავენ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**





# განცხადებები

**სხვადასხვა**

● ჯადოს, თვალის, წყევლის, ფინანსური ბლოკების, ჩაკეტილი ბედის დადგენა-მოხსნა, უძლიერესი თილისმები, მათ შორის „ოქროს დაცვა“, ასევე სახლისა და ოფისების ენერგეტიკული გაწმენდა. ტელ: 568-76-26-40.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი — სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# ტურინში ჩემპიონობას ელიან

## სტატისტიკა, ფსონები

ჩინებული უქმეები ელით ფეხბურთის მოყვარულებს. ესპანეთში ერთმანეთს პირველ-მეორე ადგილზე მყოფი გუნდები შეხვდებიან – ბარსელონა-ატლეტიკო. თუმცა, აქ უკვე ყველაფერი გადაწყვეტილია.

სამაგიეროდ, ძალიან საინტერესო უნდა გამოდგეს ლიდერთა მატჩი გერმანიაში, სადაც ბაიერნი დორტმუნდს დაუხვდება.

პო, აპენინებზე იტალიური დერბია – იუვენტუსი-მილანი და, თუ ტურინელები მოიგებენ, 7 ტურით ადრე გაინაღდებენ ჩემპიონობას.




### ინგლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 06.04 | ნიუკასლი-კრ.პალასი | 2.50 | 3.20 | 2.95 |
| 06.04 | ჰადერსფილდი-ლესტერი | 4.90 | 3.75 | 1.75 |
| 06.04 | ბორნმუთი-ბარნლი | 2.10 | 3.55 | 3.50 |
| 07.04 | ევერტონი-არსენალი | 3.00 | 3.60 | 2.25 |
| 07.04 | ტოტენჰემი-ბრაიტონი | 1.35 | 5.00 | 9.00 |
| 08.04 | ჩელსი-ვესტ ჰემი | 1.35 | 5.25 | 8.25 |

**ნიუკასლი-კრ.პალასი**

ნიუკასლი: ***ტრავმ***-ჯამალ ლასკელესი

კრ.პალასი: ***ტრავმ***-მამადუ სახო

**ჰადერსფილდი-ლესტერი**

ჰადერსფილდი: ***ტრავმ***-ადამა დიახაბი

ლესტერი: ***ტრავმ***-ჰარი მაგუაირი, მარკ ალბრაიტონი, დანიელ ამარტეი

**ბორნმუთი-ბარნლი**

ბორნმუთი: ***ტრავმ***-ენდრიუ სარმენი, სიმონ ფრენსისი, სტივ კუკი

ბარნლი: ***ტრავმ***-სტივ დეფო, აარონ ლენონი

**ევერტონი-არსენალი**

ევერტონი: ***ტრავმ***-იერი მინა

არსენალი: ***ტრავმ***-ნაჩო მონრეალი, აარონ რემზი, ლუკას ტორეირა, ექტორ ბერელინი, რობ ჰოლდინგი, დანი უელბეკი

**ტოტენჰემი-ბრაიტონი**

ტოტენჰემი: ***ტრავმ***-ერიკ დაიერი, სერჟ ორიე, ჰარი ვინკსი

ბრაიტონი: ***ტრავმ***-ბერამ კაილი

**ჩელსი-ვესტ ჰემი**

ჩელსი: ***ტრავმ***-არავინ

ვესტ ჰემი: ***ტრავმ***-ანდრეი იარმოლენკო, კარლოს სანჩესი, ჯეკ უილშირი

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 32 | 24 | 7 | 1 | 72-19 | 79 |
| 2.სიტი | 32 | 26 | 2 | 4 | 83-21 | 80 |
| 3.ტოტენჰემი | 32 | 21 | 1 | 10 | 60-34 | 64 |
| 4.არსენალი | 31 | 19 | 6 | 6 | 65-39 | 63 |
| 5.ჩელსი | 32 | 19 | 6 | 7 | 55-34 | 63 |
| 6.მანჩესტერი | 32 | 18 | 7 | 7 | 61-43 | 61 |
| 7.ვულვზი | 32 | 13 | 8 | 11 | 40-39 | 47 |
| 8.უოტფორდი | 32 | 13 | 7 | 12 | 47-47 | 46 |
| 9.ლესტერი | 32 | 13 | 5 | 14 | 42-43 | 44 |
| 10.ვესტ ჰემი | 32 | 12 | 6 | 14 | 41-48 | 42 |
| 11.ევერტონი | 32 | 12 | 7 | 13 | 45-42 | 43 |
| 12.ბორნმუთი | 32 | 11 | 5 | 16 | 43-58 | 38 |
| 13.კრ.პალასი | 32 | 10 | 6 | 16 | 38-43 | 36 |
| 14.ნიუკასლი | 32 | 9 | 8 | 15 | 31-42 | 35 |
| 15.ბრაიტონი | 31 | 9 | 6 | 16 | 32-46 | 33 |
| 16.საუთჰემპტონი | 31 | 8 | 9 | 14 | 35-50 | 33 |
| 17.ბარნლი | 32 | 9 | 6 | 17 | 37-59 | 33 |
| 18.კარდიფი | 32 | 8 | 4 | 20 | 28-61 | 28 |
| 19.ფულემი | 33 | 4 | 5 | 24 | 30-76 | 17 |
| 20.ჰადერსფილდი | 32 | 3 | 5 | 24 | 18-59 | 14 |

### ესპანეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 06.04 | ხირონა-ესპანიოლი | 2.50 | 3.15 | 3.00 |
| 06.04 | რეალი-ეიბარი | 1.30 | 6.00 | 8.50 |
| 06.04 | რაიო-ვალენსია | 3.80 | 3.60 | 1.95 |
| 06.04 | ბარსელონა-ატლეტიკო | 1.80 | 3.70 | 4.45 |
| 07.04 | ალავესი-ლეგანესი | 2.45 | 3.00 | 3.25 |
| 07.04 | ხეტაფე-ბილბაო | 2.30 | 3.00 | 3.55 |
| 07.04 | ვალიადოლიდი-სევილია | 3.20 | 3.45 | 2.20 |
| 07.04 | სელტა-სოსიედადი | 2.35 | 3.40 | 3.05 |
| 07.04 | ლევანტე-უესკა | 2.00 | 3.70 | 3.65 |
| 07.04 | ბეტისი-ვილიარეალი | 2.30 | 3.40 | 3.15 |

**ხირონა-ესპანიოლი**

ხირონა: ***ტრავმ***-ხუანპე, დუგლასი, ადაი ბენიტესი

ესპანიოლი: ***ტრავმ***-დავიდ ლოპესი, პაბლო პიატი

**რეალი-ეიბარი**

რეალი: ***ტრავმ***-დანი კარვახალი, ვინიციუს ჟუნიორი

ეიბარი: ***ტრავმ***-პედრო ბიგასი, ანაიც არბილია

**რაიო-ვალენსია**

რაიო: ***ტრავმ***-გორკა ელუსტონდო

ვალენსია: ***ტრავმ***-კრისტიანო პიჩინი

**ბარსელონა-ატლეტიკო**

ბარსელონა: ***ტრავმ***-უსმან დემბელე, რაფინია

ატლეტიკო: ***ტრავმ***-ბორხა გარსესი, სანტიაგო არიასი, ლეკას ერნანდესი

**ალავესი-ლეგანესი**

ალავესი: ***ტრავმ***-გილერმო მარიპანი, ბურგუი

ლეგანესი: ***ტრავმ***-იუსუფ ენ-ნესირი

**ხეტაფე-ბილბაო**

ხეტაფე: ***ტრავმ***-ამატ ნდიაე, მარკელ ბერგარა

ბილბაო: ***ტრავმ***-არიც ადურისი

**ვალიადოლიდი-სევილია**

ვალიადოლიდი: ***ტრავმ***-ბორხა, ტონი ვილა

სევილია: ***ტრავმ***-ნოლიტო

**სელტა-სოსიედადი**

სელტა: ***ტრავმ***-დავიდ იუნკა

სოსიედადი: ***ტრავმ***-დავიდ ზურუტუზა, ასიერ ილარამენდი

**ლევანტე-უესკა**

ლევანტე: ***ტრავმ***-რაფაელ დუამენა, ჩეიკ დაკური

უესკა: ***ტრავმ***-ჯორჯ მირამონი, კარლოს აკაპო, პაბლო ინსუა, ლუიზინიო

**ბეტისი-ვილიარეალი**

ბეტისი: ***ტრავმ***-ფრანსისი, ჯუნიორ ფიპრო

ვილიარეალი: ***ტრავმ***-გერარდ მორენო, ხაიმე კოსტა, მანუ ტრიგეროსი

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 30 | 21 | 7 | 2 | 79-31 | 70 |
| 2.ატლეტიკო | 30 | 18 | 8 | 4 | 45-19 | 62 |
| 3.რეალი | 30 | 18 | 3 | 9 | 53-36 | 57 |
| 4.ხეტაფე | 30 | 12 | 11 | 7 | 37-27 | 47 |
| 5.ვალენსია | 30 | 10 | 16 | 4 | 33-24 | 46 |
| 6.სევილია | 30 | 13 | 7 | 10 | 49-37 | 46 |
| 7.ალავესი | 30 | 12 | 8 | 10 | 31-37 | 44 |
| 8.ბილბაო | 30 | 10 | 13 | 7 | 33-34 | 43 |
| 9.სოსიედადი | 30 | 10 | 10 | 10 | 36-35 | 40 |
| 10.ბეტისი | 30 | 11 | 7 | 12 | 34-39 | 40 |
| 11.ეიბარი | 30 | 9 | 12 | 9 | 40-41 | 39 |
| 12.ლეგანესი | 30 | 10 | 9 | 11 | 30-34 | 39 |
| 13.ესპანიოლი | 30 | 9 | 8 | 13 | 33-44 | 35 |
| 14.ხირონა | 30 | 8 | 10 | 12 | 32-41 | 34 |
| 15.ლევანტე | 30 | 8 | 8 | 14 | 42-54 | 32 |
| 16.ვილიარეალი | 30 | 6 | 12 | 12 | 38-43 | 30 |
| 17.ვალიადოლიდი | 30 | 7 | 9 | 14 | 24-41 | 30 |
| 18.სელტა | 30 | 7 | 8 | 15 | 42-52 | 29 |
| 19.რაიო | 30 | 6 | 6 | 18 | 32-54 | 24 |
| 20.უესკა | 30 | 5 | 8 | 17 | 33-53 | 23 |

### გერმანია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 06.04 | ვოლფსბურგი-ჰანოვერი | 1.40 | 5.00 | 7.75 |
| 06.04 | შტუტგარტი-ნიურნბერგი | 1.80 | 3.70 | 4.55 |
| 06.04 | ლევერკუზენი-ლაიფციგი | 2.30 | 3.65 | 2.90 |
| 06.04 | ჰერტა-ფორტუნა | 1.90 | 3.60 | 4.00 |
| 06.04 | შალკე-აინტრახტი | 3.25 | 3.45 | 2.20 |
| 06.04 | ბაიერნი-დორტმუნდი | 1.55 | 4.65 | 5.50 |
| 07.04 | აუგსბურგი-ჰოფენჰაიმი | 3.65 | 4.15 | 1.85 |
| 07.04 | გლადბახი-ვერდერი | 2.05 | 3.65 | 3.45 |

**ვოლფსბურგი-ჰანოვერი**

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***-იგნასიო კამაჩო

ჰანოვერი: ***ტრავმ***-ბობი ვუდი, მატიას ოსტრზოლეკი, ნიკლას ფულკრუგი, ილჰას ბებუ

**შტუტგარტი-ნიურნბერგი**

შტუტგარტი: ***ტრავმ***-სანტიაგო ასკაკიბარი

ნიურნბერგი: ***ტრავმ***-ენრიკო ვალენტინი, ადამ ზრელაკი

**ლევერკუზენი-ლაიფციგი**

ლევერკუზენი: ***ტრავმ***-ვენდელი

ლაიფციგი: ***ტრავმ***-ლუკას კლოსტერმანი, დაიოტ უპამეკანო

**ჰერტა-ფორტუნა**

ჰერტა: ***ტრავმ***-ჯავაირო დილროსუნი, ვლადიმირ დარიდა, ვედად იბიშევიჩი, ჯორდან ტორუნარიგა, დერიკ ლუკასენი

ფორტუნა: ***ტრავმ***-დოდი ლუკებაკიო, დავორ ლოვრენი, იან ციმერი

**შალკე-აინტრახტი**

შალკე: ***ტრავმ***-ვესტონ მაკკეინი, ამინე ჰარიტი, ნაბილ ბენტალები, დანიელ კალიგიური, ალესანდრო შოფი

აინტრახტი: ***ტრავმ***-ტალებ ტავატა, მიიატ გაჩინოვიჩი, მარკ სტენდერა, ბრანიმირ ჰრგოტა

**ბაიერნი-დორტმუნდი**

ბაიერნი: ***ტრავმ***-არიენ რობენი, კორენტინ ტოლისო

დორტმუნდი: ***ტრავმ***-კრისტიან პულიშიჩი, მაქს ფილიპი, ლუკაშ პიშჩეკი

**აუგსბურგი-ჰოფენჰაიმი**

აუგსბურგი: ***ტრავმ***-ჟულიან შიბერი, რაფაელ ფრამბერგერი

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***-რეის ნელსონი, ნიკო შულცი

**გლადბახი-ვერდერი**

გლადბახი: ***ტრავმ***-იბრაჰიმა ტრაორე

ვერდერი: ***ტრავმ***-კლაუდიო პიზარო, ფილიპ ბაგფრეიდი, ნური შაჰინი, იუია ოსაკო

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 27 | 19 | 6 | 2 | 66-30 | 63 |
| 2.ბაიერნი | 27 | 19 | 4 | 4 | 69-28 | 61 |
| 3.ლაიფციგი | 27 | 15 | 7 | 5 | 49-20 | 52 |
| 4.აინტრახტი | 27 | 14 | 7 | 6 | 54-30 | 49 |
| 5.გლადბახი | 27 | 14 | 5 | 8 | 46-34 | 47 |
| 6.ლევერკუზენი | 27 | 13 | 3 | 11 | 48-44 | 42 |
| 7.ვოლფსბურგი | 27 | 12 | 6 | 9 | 44-41 | 42 |
| 8.ვერდერი | 27 | 11 | 9 | 7 | 49-39 | 42 |
| 9.ჰოფენჰაიმი | 27 | 10 | 11 | 6 | 54-39 | 41 |
| 10.ჰერტა | 27 | 9 | 8 | 10 | 40-44 | 35 |
| 11.ფორტუნა | 27 | 10 | 4 | 13 | 36-51 | 34 |
| 12.ფრაიბურგი | 27 | 7 | 11 | 9 | 38-43 | 32 |
| 13.მაინცი | 27 | 8 | 6 | 13 | 28-48 | 30 |
| 14.შალკე | 27 | 7 | 5 | 15 | 28-44 | 26 |
| 15.აუგსბურგი | 27 | 6 | 7 | 14 | 37-50 | 25 |
| 16.შტუტგარტი | 27 | 5 | 5 | 17 | 26-59 | 20 |
| 17.ჰანოვერი | 27 | 3 | 5 | 19 | 24-62 | 14 |
| 18.ნიურნბერგი | 27 | 3 | 7 | 17 | 22-52 | 16 |

### იტალია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 06.04 | პარმა-ტორინო | 3.75 | 3.30 | 2.10 |
| 06.04 | იუვენტუსი-მილანი | 1.75 | 3.50 | 5.25 |
| 06.04 | სამპდორია-რომა | 2.80 | 3.50 | 2.45 |
| 07.04 | ფიორენტინა-ფროზინონე | 1.50 | 4.20 | 6.50 |
| 07.04 | უდინეზე-ემპოლი | 2.30 | 3.25 | 3.20 |
| 07.04 | კალიარი-სპალი | 2.15 | 3.25 | 3.60 |
| 07.04 | ლაციო-სასუოლო | 1.35 | 5.25 | 8.00 |
| 07.04 | ინტერი-ატალანტა | 2.10 | 3.50 | 3.40 |
| 07.04 | ნაპოლი-ჯენოა | 1.30 | 5.50 | 10.00 |
| 08.04 | ბოლონია-კიევო | 1.55 | 4.00 | 6.75 |

**პარმა-ტორინო**

პარმა: ***ტრავმ***-რობერტო იგლესე, ლეო სტულაკი, ალბერტო გრასი

ტორინო: ***ტრავმ***-ოლა აინა

**იუვენტუსი-მილანი**

იუვენტუსი: ***ტრავმ***-კრიშტიანუ რონალდუ, ანდრეა ბარძალი, ხუან კუადრადო

მილანი: ***ტრავმ***-ჯაკომო ბონავენტურა

**სამპდორია-რომა**

სამპდორია: ***ტრავმ***-რონალდო ვიეირა, ალბინ ეკდალი, ედგარ ბარეტო, ჯანლუკა კარპარი

რომა: ***ტრავმ***-სტეფან ელ შაარავი, ალესანდრო ფლორენცი, ხავიერ პასტორე, კოსტას მანოლასი

**ფიორენტინა-ფროზინონე**

ფიორენტინა: ***ტრავმ***-გერმან პესელა, მარკო პიაცა, დუშან ვლაჰოვიჩი

ფროზინონე: ***ტრავმ***-მირკო გორი, ედუარდო გოლდანიგა

**უდინეზე-ემპოლი**

უდინეზე: ***ტრავმ***-ლუკაშ ტეოდორჩუკი, მარკო დელესანდრო, ვალონ ბეჰრამი, ანტონინ ბარაკი, სამირი

ემპოლი: ***ტრავმ***-მატიას სილვესტრი, ანტონინო ლა გუმინა, ლევან მჭედლიძე, ლუკა ანტონელი

**კალიარი-სპალი**

კალიარი: ***ტრავმ***-ლეონარდო პავოლეტი, რაგნარ კლავანი, ლუკას კასტრო

სპალი: ***ტრავმ***-არავინ

**ლაციო-სასუოლო**

ლაციო: ***ტრავმ***-შტეფან რადუ, ჟორდან ლუკაკუ

სასუოლო: ***ტრავმ***-კლოს აჯაპონგი, ენრიკო ბრინიოლა

**ინტერი-ატალანტა**

ინტერი: ***ტრავმ***-ლაუტარო მარტინესი, შტეფან დე ვრეი, რაჯა ნაინგოლანი, სიმე ვრსალკო

ატალანტა: ***ტრავმ***-რაფაელ ტოლოი

**ნაპოლი-ჯენოა**

ნაპოლი: ***ტრავმ***-პიოტრ ზელინსკი, ამადუ დიავარა, ლორენცო ინსინიე, რაულ ალბიოლი

ჯენოა: ***ტრავმ***-ანდრეა ფავილი, ოსკარ ჰილიემარკი

**ბოლონია-კიევო**

ბოლონია: ***ტრავმ***-ფედერიკო სანტანდერი

კიევო: ***ტრავმ***-სტრაჰინია ტანასიევიჩი, ნენად ტომოვიჩი

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 30 | 26 | 3 | 1 | 62-19 | 81 |
| 2.ნაპოლი | 30 | 19 | 6 | 5 | 57-26 | 63 |
| 3.ინტერი | 30 | 17 | 5 | 8 | 47-25 | 56 |
| 4.მილანი | 30 | 14 | 10 | 6 | 44-28 | 52 |
| 5.ატალანტა | 30 | 15 | 6 | 9 | 64-41 | 51 |
| 6.ლაციო | 29 | 14 | 6 | 9 | 42-30 | 48 |
| 7.ტორინო | 30 | 12 | 12 | 6 | 40-28 | 48 |
| 8.რომა | 30 | 13 | 9 | 8 | 55-45 | 48 |
| 9.სამპდორია | 30 | 13 | 6 | 11 | 51-40 | 45 |
| 10.ფიორენტინა | 30 | 8 | 15 | 7 | 46-38 | 39 |
| 11.სასუოლო | 30 | 8 | 11 | 11 | 44-49 | 35 |
| 12.ჯენოა | 30 | 8 | 9 | 13 | 34-48 | 33 |
| 13.კალიარი | 30 | 8 | 9 | 13 | 28-42 | 33 |
| 14.პარმა | 30 | 9 | 6 | 15 | 33-50 | 33 |
| 15.სპალი | 30 | 8 | 8 | 14 | 27-42 | 32 |
| 16.უდინეზე | 29 | 7 | 8 | 14 | 27-41 | 29 |
| 17.ემპოლი | 30 | 7 | 7 | 16 | 38-56 | 28 |
| 18.ბოლონია | 30 | 6 | 9 | 15 | 28-47 | 27 |
| 19.ფროზინონე | 30 | 4 | 8 | 18 | 24-56 | 20 |
| 20.კიევო | 30 | 1 | 11 | 18 | 21-61 | 11 |

შენიშვნა: კიევოს დაკლებული აქვს 3 ქულა

### საფრანგეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 06.04 | ლიონი-დიჟონი | 1.25 | 6.50 | 11.25 |
| 06.04 | ნიმი-კაენი | 1.70 | 3.75 | 5.00 |
| 06.04 | ამიენი-სტ.ეტიენი | 3.00 | 3.10 | 2.55 |
| 06.04 | გენგამი-მონაკო | 3.55 | 3.25 | 2.15 |
| 06.04 | ანჟე-რენი | 2.75 | 3.10 | 2.75 |
| 07.04 | რეიმსი-ლილი | 2.95 | 3.00 | 2.65 |
| 07.04 | ტულუზა-ნანტი | 2.45 | 3.05 | 3.20 |
| 07.04 | ნიცა-მონპელიე | 2.65 | 2.95 | 2.95 |
| 07.04 | პსჟ-სტრასბური | 1.14 | 8.75 | 16.50 |

**ლიონი-დიჟონი**

ლიონი: ***ტრავმ***-მაქსველ კორნე, ფერლანდ მენდი

დიჟონი: ***ტრავმ***-მეჰდი აბეიდი, ნამი სლიტი, ვალენტინ როსიე

**ნიმი-კაენი**

ნიმი: ***ტრავმ***-მუსტაფა დიალო

კაენი: ***ტრავმ***-არავინ

**ამიენი-სტ.ეტიენი**

ამიენი: ***ტრავმ***-სამან გოდოსი, ჯორდან ლეფორი, კვენტინ კორნე

სტ.ეტიენი: ***ტრავმ***-ვაჰბი ხაზრი, გაბრიელ სილვა, კევინ მონე

**გენგამი-მონაკო**

გენგამი: ***ტრავმ***-არავინ

მონაკო: ***ტრავმ***-ჯელერსონი, ლიოკ ბადიაშილე, პიეტრო პელეგრი

**ანჟე-რენი**

ანჟე: ***ტრავმ***-შტეფან ბაოკენი, ველფრედ კანგა

რენი: ***ტრავმ***-იაკობ იოჰანსონი, ჰამარი ტრაორე, ლუდოვიკ ბაალი

**რეიმსი-ლილი**

რეიმსი: ***ტრავმ***-გისლან კონანი

ლილი: ***ტრავმ***-არავინ

**ტულუზა-ნანტი**

ტულუზა: ***ტრავმ***-კორენტინ ჟანი

ნანტი: ***ტრავმ***-არავინ

**ნიცა-მონპელიე**

ნიცა: ***ტრავმ***-მალანგ სარი, კრისტოფ ჟალე, იგნატიუს კანაგო, მიზიან მალიდა

მონპელიე: ***ტრავმ***-კიგან დოლი

**პსჟ-სტრასბური**

პსჟ: ***ტრავმ***-ანხელ დი მარია, ჟულიან დრექსლერი, ედინსონ კავანი, ადრიენ რაბიო, ნეიმარი, ლასანა დიარა

სტრასბური: ***ტრავმ***-იონას მარტინი, ჯერემი გრინი, იდრის საადი

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 29 | 26 | 2 | 1 | 87-16 | 80 |
| 2.ლილი | 30 | 18 | 6 | 6 | 48-26 | 60 |
| 3.ლიონი | 30 | 16 | 8 | 6 | 51-35 | 56 |
| 4.სტ.ეტიენი | 30 | 14 | 7 | 9 | 43-35 | 49 |
| 5.მარსელი | 30 | 14 | 6 | 10 | 47-40 | 48 |
| 6.რეიმსი | 29 | 11 | 13 | 5 | 31-27 | 46 |
| 7.ნიცა | 30 | 12 | 8 | 10 | 22-29 | 44 |
| 8.მონპელიე | 29 | 10 | 12 | 7 | 40-34 | 42 |
| 9.რენი | 29 | 11 | 8 | 10 | 39-37 | 41 |
| 10.სტრასბური | 29 | 9 | 12 | 8 | 45-35 | 39 |
| 11.ანჟე | 30 | 8 | 13 | 9 | 35-35 | 37 |
| 12.ნიმი | 29 | 10 | 7 | 12 | 41-44 | 37 |
| 13.ბორდო | 30 | 8 | 11 | 11 | 28-31 | 35 |
| 14.ტულუზა | 30 | 7 | 11 | 12 | 28-44 | 32 |
| 15.ნანტი | 29 | 8 | 7 | 14 | 33-38 | 31 |
| 16.მონაკო | 30 | 7 | 9 | 14 | 30-45 | 30 |
| 17.ამიენი | 30 | 8 | 6 | 16 | 24-43 | 30 |
| 18.კაენი | 30 | 4 | 11 | 15 | 24-44 | 23 |
| 19.გენგამი | 29 | 5 | 7 | 17 | 19-51 | 22 |
| 20.დიჟონი | 30 | 5 | 6 | 19 | 21-47 | 21 |

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# შენგელია ფლეი ოფშია, ბითაძემ ევროსეზონი დაასრულა

ევროლიგის რეგულარული ჩემპიონატის ბოლო, 30-ე ტურში თორნიკე შენგელიას ბასკონიამ ბენფის ხიდზე გაიარა. ესპანური გუნდი მოსკოვში ცსკა-ს დაუპირისპირდა და, მარცხის (78:82) მიუხედავად, ფლეი ოფში გასვლა მაინც მოახერხა. ბასკონია უმეტესწილად ლიდერობდა, ბოლო პერიოდის წინ კი სულაც 11 ქულით იგებდა, თუმცა არმიელთა ზეწოლას ვერ გაუძლო და საბოლოოდ მაინც წააგო.

ქართველმა მძიმე ფორვარდმა მძიმე ტრავმის შემდეგ ევროლიგაში პირველი მატჩი ჩაატარა და 18 წუთში 6 ქულა, 3 მოხსნა, 1 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა. თოკომ 3-დან 2 ორქულიანი და 8-დან 2 საჯარიმო ჩააგდო.




გაგრძელება მე-10 გვერდზე

# შენგელია ფლეი ოფშია, ბითაძემ ევროსეზონი დაასრულა

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ბასკონიამ რეგულარული სეზონი 15-15 მოგება-წაგებით დაასრულა და სატურნირო ცხრილში მე-7 ადგილი დაიკავა. შესაბამისად, ესპანური გუნდი მეოთხედფინალში ისევ ცსკა-ს გაეჯიბრება, რომელიც მე-2 პოზიციაზე გავიდა. დანარჩენი წყვილები ასე დაკომპლექტდა: ფენერბახჩე-ჟალგირისი, რეალი-პანათინაიკოსი, ეფესი-ბარსელონა. სერიები სამ მოგებამდე გაგრძელდება, თამაშები კი 16 აპრილიდან 1 მაისამდე პერიოდში გახლავთ დაგეგმილი.

შენგელიას საპირისპიროდ, ევროლიგას დაემშვიდობა გოგა ბითაძე. თუმცა, ეს ისედაც ნათელი იყო, რადგან მისი ბუდოჩნოსტი ვერ არის იმ დონის გუნდი, რომელიც ევროპულ გრანდებს მეტოქეობას გაუწევს. ერთია, თავად ბითაძემ ევროსეზონი შედეგიანად დახურა.

ბოლო ტურის მატჩში ბუდუჩნოსტი ათენში პანათინაიკოსს შეხვდა და 67:87 წააგო, 19 წლის ქართველი კი პოდგორიცელთაგან საუკეთესო იყო.

ბითაძე სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა და 23 წუთში 16 ქულა, 8 მოხსნა, 2 პასი და 2 ჩაჭრა მოაგროვა. გოგამ 4-დან 3 ორქულიანი, 3-დან 1 სამქულიანი და 8-დან 7 საჯარიმო ჩააგდო. შედეგად, ქართველი კალათბურთელის სარგებლიანობის კოეფიციენტი 21-ს გაუტოლდა, რაც პოდგორიცული კლუბის მხრიდან საუკეთესო მაჩვენებელი იყო.

ბითაძეს ევროლიგაში 13 მატჩი მოუგროვდა, მისი საშუალო მაჩვენებლები კი ასე გამოიყურება: 12.1 ქულა, 6.4 მოხსნა, 1.2 პასი, 0.5 ჩაჭრა, 2.3 დაფარება.

ბუდუჩნოსტმა სეზონი 6 მოგებითა და 24 მარცხით დაასრულა და ევროლიგაში ბოლოსწინა, მე-15 ადგილი დაიკავა. ბითაძის კლუბს მომდევნო და, ამავდროულად, უმნიშვნელოვანესი მატჩი ადრიატიკის ლიგის ნახევარფინალში ელის, სადაც ხორვატულ ცედევიტას სტუმრად დაუპირისპირდება.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# უიშვიათესი ალბინოსი ზებრა აღმოაჩინეს



ტანზანიის ეროვნულ პარკ სერენგეტიში უიშვიათეს ალბინოს ზებრას მიაგნეს. ცხოველის უნიკალური ფოტოსურათები გამოცემა National Geographic-მა გამოაქვეყნა.

ფოტოგრაფმა სერხიო პიტამიცმა უჩვეულო ზებრა ჯერ კიდევ თებერვლის შუა რიცხვებში აღბეჭდა.

– თავდაპირველად ვიფიქრე, რომ ის, უბრალოდ, მტვერში იყო ამოგანგლული, – გაიხსენა ფოტოგრაფმა. შემდეგ მან დაინახა, თუ როგორ ჩავიდა ცხოველი წყალში, ხოლო იქიდან ამოსვლის შემდეგ მისი უჩვეულო შეფერილობა არ შეცვლილა.

რამდენიმე მეცნიერმა, მათ შორის ჰანტსვილის კვლევითი ინსტიტუტის წარმომადგენელმა გრეგ ბარშმა დაასკვნა, რომ მუტაცია ნაწილობრივი ალბინიზმით არის განპირობებული – მელანინის ნაკლებობა ცხოველის კანის საფარველში. უჩვეულო შეფერილობის ცხოველები დიდ იშვიათობას წარმოადგენს ბუნებაში.

– ზებრებში ალბინიზმის თაობაზე დღემდე არაფერია ცნობილი, – დაამატა ბარშმა.

# წარმოდგენის დროს ლომი მომთვინიერებელს თავს დაესხა



ლუგანსკის ცირკში წარმოდგენის დროს გაწვრთნილი ლომი თავს დაესხა მომთვინიერებელს. მომხდარი ერთ-ერთმა თვითმხილველმა ვიდეოზე გადაიღო, რომელიც შემდეგ ადგილობრივ გამოცემაში გამოქვეყნდა.

ინციდენტი წარმოდგენის პრემიერის დღეს მოხდა. ვიდეოს კადრებში ჩანს, თუ როგორ უხმობს თავისთან ეგვიპტელი მომთვინიერებელი ჰამადა კუტა ცირკის არენაზე მყოფ ერთ-ერთ ლომს. მტაცებელი 32 წლის მომთვინიერებელთან მიდის და მას თავს ესხმის. მომთვინიერებელი უკანდახევის დროს ძირს ვარდება, ლომი ზევიდან დაახტება და კბენს. საბოლოოდ კუტამ მოახერხა ცხოველის დამორჩილება, ის გალიაში შეიყვანა, შემდეგ კი წარმოდგენა გააგრძელა.

მომთვინიერებელმა ზურგის, ხელისა და ფეხის არეში სერიოზული დაზიანებები მიიღო. მან განმარტა, რომ ასეთი თავდასხმების 99 პროცენტი მომთვინიერებლის გამო ხდება და აღიარა, რომ თავად დაუშვა შეცდომა და მომენტი გაეპარა.

# თაღლითი, რომელმაც ქალები აცდუნა და მათი ფული გაიტაცა, დაიჭირეს



ჩინეთის პროვინცია ხენანის ქალაქ ჩჟენჩჟოუში დააკავეს თაღლითი, რომელიც ქალებთან ურთიერთობას აბამდა და მათ ფულებს სცინცლავდა.

მამაკაცის ქმედებამ სამართალდამცავთა ყურადღება მას შემდეგ მიიპყრო, რაც მათთან ქალების საჩივრები შევიდა. მათ განცხადებით უკვე 17 ქალმა მიმართა. ოთხ მათგანს უკვე შეეძინა ბავშვი, ორი კი ფეხმძიმედ არის.

ერთ-ერთი დაზარალებულის თქმით, თაღლითმა ის ძვირფასი საჩუქრებით გაავსო და უმტკიცებდა, რომ მისი მშობლები მაღალი თანამდებობის ჩინოსნები იყვნენ, ბავშვის გაჩენის შემდეგ კი მისი კუთვნილი ავტომობილი და ასი ათასი იუანი წაიღო და უკვალოდ გაუჩინარდა.

მეორე მსხვერპლს კი თაღლითმა უთხრა, რომ ასპირანტურაში სწავლობდა. მან ქალს ცოლად გაყოლა შესთავაზა და ხუთკარატიანი ბრილიანტისთვლიანი ნიშნობის ბეჭედი აჩუქა, რომელიც შემდეგ ყალბი აღმოჩნდა. ნიშნობის შემდეგ კი მამაკაცმა საპატარძლოსგან 250 ათასი იუანი ისესხა და გაუჩინარდა.

პოლიციამ მამაკაცის ვინაობა დაადგინა და დააპატიმრა. როგორც გაირკვა, ორი წლის განმავლობაში მან 19 ქალის მოტყუება მოახერხა. ჩვეულებრივ, ის მსხვერპლთან ნაცნობობას ინტერნეტით ამყარებდა და მათ არწმუნებდა, რომ მდიდარი მშობლები ჰყავდა, ხოლო იმიჯის გასამყარებლად პაემანზე გაყალბებულ დიზაინერულ ტანსაცმელში გამოწყობილი მიდიოდა.

# ასტროპროგნოზი

## 6 აპრილისთვის



**ვერძი** – ახლობლებთან ჰარმონიული ურთიერთობის შენარჩუნებაში ტრადიციების დაცვის უნარი დაგეხმარებათ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. **კურო** – საოჯახო საქმეებს ვერ აუდიხართ. სამომავლოდ ნურაფერს გადადებთ. ერიდეთ საქმის გარჩევებს. **ტყუპები** – მოუგვარებელი საყოფაცხოვრებო პრობლემები განერვიულებთ. ნუ დაწვრილმანდებით. ემოციები მოთოკეთ. **კირჩხიბი** – ფიზიკურადაც და მორალურადაც მშვენიერ ფორმაში ხართ. დღეს, შესაძლოა, თქვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდეს. **ლომი** – ოჯახის წევრებთან ურთიერთობას აგვარებთ. მთავარია, შინაგანი წონასწორობა შეინარჩუნოთ. **ქალწული** – ეცადეთ, შინაურებთან სკანდალი თავიდან აიცილოთ. ნერვებს გაუფრთხილდით. **სასწორი** – საიდუმლოს ნურავის გაანდობთ. ყველა დაწყებული საქმე დღესვე დაამთავრეთ. კარგი დღეა მივლინებებისათვის, სამოგზაუროდ წასასვლელად. **ღრიანკალი** – მრავალი თქვენგანი საოცარ შორსმჭვრეტელობასა და მახვილგონიერებას გამოავლენთ, რაც თქვენს საქმიანობაზე დადებითად აისახება. **მშვილდოსანი** – ერიდეთ ახალ ნაცნობობას, რომანტიკულ შეხვედრებს. იმედი გაგიცრუვდებათ. **თხის რქა** – გადადებული საქმე ეშმაკისაა. ნუ იზარმაცებთ. ფიზიკურ დატვირთვას ერიდეთ. **მერწყული** – მატერიალური მდგომარეობა სტაბილურია. შესაძლოა, დაგაწინაურონ კიდეც. **თევზები** – საორგანიზაციო საკითხების მოგვარება არ გაგიჭირდებათ. თანამოაზრეები გვერდში გიდგანან. სიზმარი, სავარაუდოდ, აგიხდებათ.

## 7 აპრილისთვის

**ვერძი** – მძიმე დღეა, განსაკუთრებით მატერიალური კუთხით. ბედი გამოცდას გიწყობთ. ნებისყოფა მოიკრიბეთ. **კურო** – კეთილისმყოფელი დღეა. ფინანსურად ძლიერდებით და ყველაფერი იოლად გამოგდით. **ტყუპები** – ვიღაც დაუფარავად ცდილობს თქვენს გაცურებას. იფხიზლეთ, თაღლითების ანკესს ნუ წამოეგებით. **კირჩხიბი** – დასამახსოვრებელი დღეა. ცხოვრებაში კორექტივები შეგაქვთ. აგიმაღლდებათ შრომის ნაყოფიერება. **ლომი** – სხვების გავლენის ქვეშ ნუ მოექცევით. საკუთარ პრინციპებს პატივი ეცით. მიხედეთ პირად ცხოვრებას. **ქალწული** – საქმიანი კონტაქტები წარმატებული იქნება. იყავით დამოუკიდებელი. **სასწორი** – ჯანმრთელობის მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. ერიდეთ კონფლიქტს საყვარელ ადამიანთან. **ღრიანკალი** – წინდაუხედაობა არასასურველ შედეგამდე მიგიყვანთ. დაფიქრდით, სანამ რამეს გადაწყვეტთ. **მშვილდოსანი** – ნებისმიერი კომერციული ოპერაცია სასიკეთოდ დასრულდება. გელით მატერიალური კეთილდღეობა. **თხის რქა** – პირადი ცხოვრების მოწყობაში პლანეტები გეხმარებიან. ძალზე იღბლიანი პერიოდი გაქვთ. **მერწყული** – ეცადეთ, წვრილმანი კამათი თავიდან აირიდოთ. უმჯობესია, თუ საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვას დღესვე დაიწყებთ. **თევზები** – რთული დღეა. ემოციურად დათრგუნული ხართ. განმარტოვდით და ენერგია მოიკრიბეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

# ბუმ ლეკვი მოიტაცა და გოლფის მოედანზე მიატოვა

ამერიკის არიზონის შტატში გადაარჩინეს ლეკვი, რომელიც ბუმ მოიტაცა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

სამი თვის სენბერნარი, სახელად ლატე, სახლის მახლობლად ქალთან ერთად სეირნობის დროს დაიკარგა, რომელმაც მიტოვებული ლეკვები იმ დრომდე შეიფარა, სანამ მათთვის ახალი პატრონები მოიძებნება.

– არაფერი გამიგია, სხვა ლეკვები არ ყეფდნენ, – განაცხადა ქალმა, – თითქოსდა აორთქლდა.

ქალმა მაშინვე დაიწყო ლეკვის ძებნა. მას მეზობლებიც შეუერთდნენ. მათ ძალისხმევას შედეგი არ გამოუღია, სანამ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ განცხადებას ლეკვის დაკარგვის თაობაზე ადგილობრივი გოლფის მოყვარული არ გამოეხმაურა. მან გამოაქვეყნა დაშავებული ლეკვის სურათი, რომელიც გოლფის მოედანზე შენიშნა.



დაკარგვიდან 12 საათის შემდეგ ლატე გოლფის მოედანზე ნახეს. ლეკვი გაუწყლოებით იტანჯებოდა. ასევე მას თავზე ეტყობოდა ფრინველის კლანჭების კვალი. ეს დაზიანებები კი იმაზე მეტყველებდა, რომ პატარა ცხოველი ბუმ მოიტაცა. სავარაუდოდ, ფრინველი ლეკვის წონას ბოლომდე ვერ გაუმკლავდა და იმ დროს გაუვარდა, როდესაც გოლფის მოედნის თავზე მიფრინავდა.

ჩამოვარდნის შედეგად ლეკვს მოტეხილობები არ მიუღია და ვეტერინარულ საავადმყოფოში გატარებული ორი დღის შემდეგ გამოჯანმრთელება დაიწყო.

# კროსვორდი ბ




**შვეულად:** 1. გარეგნული მომხიბვლელობა, მიმზიდველობა; 2. ბუვიეს რომანი; 3. სიბერით გამოწვეულ დაავადებათა შემსწავლელი მედიცინის დარგი; 4. ფულის ერთეული ვიეტნამში; 5. ხელოვნური წყალსაცავი დუშეთის რაიონში; 8. გამარჯვების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 9. ოპერა „მფრინავი ჰოლანდიელის" მუსიკის ავტორი; 10. კაკაოსგან მომზადებული ტკბილეული; 12. დაბალი ხარისხის შაქარი; 13. ხელოვნური გამოქვაბული პარკებში; 15. ყვითელი, წვნიანი ნაყოფის მქონე კენკროვანი ბუჩქი.

**თარაზულად:** 1. ლიტერატურული ნაწარმოების დასკვნითი ნაწილი; 6. სპორტის სათამაშო ოლიმპიური სახეობა; 7. სამხედრო გადატრიალების მომწყობი შეთქმულთა ჯგუფი; 10. წყნარი, უქარო ამინდი ზღვაზე; 11. წითელი ზღვისპირა კურორტი იორდანიაში; 13. ისტორიული ციხე-ქალაქი ბათუმის მახლობლად; 14. ხორბლის ქართული ჯიში; 16. ყველაზე დიდი მდინარე პირინეის ნახევარკუნძულზე; 17. ბუნებრივი განიავება, ვენტილაცია; 18. ეგვიპტელი კინოვარსკვლავი მამაკაცი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ბაგეტი; 2. სერალი; 3. გენკი; 5. მოლი; 6. ხარები; 8. იკორთა; 11. ფერეიდანი; 13. ბორჯომი; 14. უკრაინა; 15. სირტაკი; 19. სურო.

**თარაზულად**: 1. ბუნდესტაგი; 4. კალმახი; 7. გოლეული; 9. კონკური; 10. ეფელი; 11. პერკუსია; 16. კარლსონი; 17. ერლიფტი; 18. ბანდერასი; 20. ნეპტუნი; 21. ზილი; 22. გორდონსი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. ჯიში; 2. ახო; 3. პაციფისტი; 4. ფლეში; 5. ზოსტერა; 8. შალე; 9. ჰიპნოზი; 10. დემენცია; 12. ჯორჯია; 13. დაირა; 15. დაზგა.

**თარაზულად**: 1. ჯანდარა; 6. ვატერლოო; 7. შაშვი; 10. დაიმი; 11. ალენი; 13. დანტე; 14. მედეა; 16. ჯანი; 17. ინვაზია; 18. როკაპი.

# თიკა ჯამბურია მედიის წინააღმდეგ



მომღერალი თიკა ჯამბურია მედია საშუალებებს სოციალურ ქსელში აკრიტიკებს და მათ არასათანადო ადამიანების რეკლამირებაში ადანაშაულებს:

— მინდა შევახსენო ყველა მედია საშუალებას, ტელევიზიებს, ონლაინ ტელევიზიებს და ა.შ., რომ ჩვენს პატარა და ძალიან ლამაზ ქვეყანაში გვყავს ძალიან ბევრი ლამაზი და ნიჭიერი მომღერალი, ახალგაზრდა თუ ასაკში შესული, ასევე გვყავს უამარავი საინტერესო ადამიანი, ხელოვანი, მხატვარი, მწერალი და ა.შ.

თუ არ გაქვთ იმის დრო, რომ მოიძიოთ საინტერესო ადამიანები და მიიწვიოთ გადაცემებში, რომ არ გადათელოთ ჩვენი და ახალი თაობის გემოვნება და ნერვები, ვთხოვ ყველა ჩემს მეგობარს, კომენტარში მონიშნოს მისთვის საინტერესო ქართველი ხელოვანი, არ აქვს მნიშვნელობა რა პროფესიის, შემდეგ იქნებ გადაავლოთ თვალი და აარჩიოთ აქედან ახალი და საინტერესო ადამიანები და შეგვეშვათ ჩვენც და შეეშვათ ამ საზიზღარ პროპაგანდას უგემოვნო და უხარისხო მუსიკის და ისტორიების.

რა გახდა, ხალხო, ქვეყანაში, სადაც გვყვს თორნიკე ყიფიანი, ლუკა ზაქარიაძე, დიმა კობეშავიძე, გრიგოლ ყიფშიძე და ა.შ. იქ 24 საათი ყველა არხზე და ყველა გადაცემაში არ იყოს გამოჭენებული ხატია წერეთელი, აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ამ ქალბატონის მიმართ არანაირი ბოროტი და ცუდი დამოკიდებულება არ გამაჩნია, უბრალოდ, ყველაფერს და ყველას თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს, და კიდევ უნიჭო ახალგაზრდების ზეიმი 2 ხმაში, რომ „გულს რად მიკლავს“ ვერ მღერიან.

რა გახდა, გამაგებინეთ მართლა! მერე ჩვენ გვაბრალებენ, შოუ ბიზნესი არ არსებობსოო, როგორ იარსებებს ყველანაირ სტიმულს და ხალისს უკარგავთ უნიჭიერეს ხალხს, რომლის გამოჩენაც ვითომ რეიტინგს არ დაწერს. სცადეთ, გოიმობის და ნაგვის გარდა, კიდევ რამის გაშუქება და იქნებ გამოვიდეს, იქნებ ჩვენ ხალხსაც ეშველოს და დაცინვის და შურის გარდა, ისწავლონ პოზიტიური და კარგის მოსმენა. დავიღალეთ ამდენი სიქაჯით და მდაბიო ხარისხით.

პ.ს. იცით რატომ არ არსებობს შოუ ბიზნესი? იმიტომ, რომ იქ, სადაც უნდა იყვნენ ნორმალური წარმომადგენლები ზემოთ ნახსენებისა, სხედან გურამ შეროზია, დომენიკ მანგო და ხატია წერეთელი! მოიწვიეთ გადაცემებში ნორმალურად მოაზროვნე არა პიარზე, არამედ ნიჭზე აგებული ხალხი. ძალიან გთხოვთ!

# ბაკურ ბაკურაძე უარყოფითმა ინფორმაციებმა დაღალა



დიზაინერი ბაკურ ბაკურაძე უარყოფითმა ინფორმაციებმა დაღალა, ამიტომ გადაწყვიტა სოციალურ ქსელში დაბლოკოს ყველა ის ადამიანი, ვინც მუდმივად ან ხშირად ნეგატიურ ინფორმაციას ავრცელებს:

— მივიღე გადაწყვეტილება, რომ ყველა, ვინც მუდმივად, ან ხშირად, ავრცელებს ნეგატიურ ინფორმაციას ფეისბუქზე, ითათხება და ილანძღება, უბრალოდ დავბლოკო.

ნუ აღიქვამთ ჩემს საქციელს ვინმეს „გამოსწორების“ მცდელობად, ნურც ჩემს მიერ „მორალისტობად“, არც რაიმე ტიპის პროტესტი, ან ვინმე კონკრეტულის მიმართ რაიმე პირადი ინტერესი მამოძრავებს. უბრალოდ არ მინდა ყოველი ვოლის დაქროლვაზე დეპრესია ავიკიდო.

ყველას თავის გზა აქვს, საკუთარი არჩევანის თავისუფლება და საკუთარ ფეისბუქის გვერდზე იმის გამოქვეყნების უფლება, რაც მიაჩნია მიზანშეწონილად, მეც გადავწყვიტე საკუთარი უფლება გამოვიყენო და არ დავიგრუზო თავი ნეგატიური და ბოლმით სავსე, რეალურად არაფრისმომცემი ინფორმაციით.

მცირედი ჩასწორება: მეც გამივრცელებია და ვთვლი, რომ ძალიან მაგრადაც მიმიქარავს.

# მაია დარსმელიძე ბოღმიანებს აკრიტიკებს

მომღერალი მაია დარსმელიძე ბოღმიან ადამიანებს აკრიტიკებს და მათ წაკითხულიდან სწორი აზრის გამოტანას ურჩევს:

— ეს რა ზუსტი ბიძო აგირჩევნიათ, კაცოუ. ცხრაასჯერ დაგაქნათ თავზე და თქვენ სუყველაფერზე ტაშს უკრავთ.

სელებრითებს არ დაუმტკიცეს სესხი? კაიააა. ერთნაირ ქაქში ვიჯდეთ ჯობია, აბა რააა. იმის მაგივრად, რომ ამ სირ რეგულაციებს აპროტესტებდეთ და საკუთარი ცხოვრების ოდნავ გაუმჯობესებაზე დაფიქრდეთ, ის გყოფნით ბედნიერებისთვის, რომ ვიღაცას სესხი არ დაუმკიცდა და ყველას ენძრევა... თანაბრად. რა ცოტა გდომებიათ ბედნიერებისთვის, როგორი იაფფასიანი და ბანძია თქვენი ყოფა და როგორი ზუსტი ბიძო მოგითრევნიათ. სუუ სათქვენო ბიძოს მოჯადოვებული ცხვრის ფარა, ოღონდ სულ ტუფლი კაზიოლებით და კაზლიხებით დაკომპლექტებული...



მე განვადებას თუ არ მაძლევენ, თან გადასარევი საბანკო ისტორიით, თავს რამენაირად ვუშველი. რაც ვთქვი, სულ თქვენს სასარგებლოდ ვთქვი: ჩემნაირებს სესხს თუ არ აძლევენ, მართლა გაჭირვებულ ადამიანებს რაღას მისცემენ-მეთქი. ამით ტექნიკის მაღაზიებიც ზარალდება, ბიზნესიც, შესაბამისად ეკონომიკაც. მშიერს და გაჭირვებულს ხელი არ ემართება, ქვეყანას დედა არ ყავს და ა.შ.

მაგრამ ბოღმა „მკითხველს“ სულ სხვა „აქცენტები“ დაუსვამს.

მე კარგად ვიყავი და ვიქნები, სულ, მარა აი, თქვენ რა გეშველებათ, თქვე ბოღმიანო, წაკითხულიდან შინაარსის გამოტანის არმქონე, ერთუჯრედიანო სი.ებო.

# მოქანდაკე და ხატმწერი ლექსო გელაშვილი გარდაიცვალა



მხატვარი, მოქანდაკე და ხატმწერი ლექსო გელაშვილი გარდაიცვალა.

სამწუხარო ინფორმაცია მამუკა გამყრელიძემ გაავრცელა:

— გარდაიცვალა ლექსო გელაშვილი, არაჩვეულებრივი ქართველი მხატვარი, მოქანდაკე, ხატმწერი, რომელიც ჩინეთში მოღვაწეობდა და დიდი პატივისცემითა და წარმატებით სარგებლობდა.

სრულიად ახალგაზრდა წავიდა. 50-საც არ იყო. როგორი ნიჭიერიც იყო, ისე იხარჯებოდა თავის საქმეშიც და ცხოვრებაშიც.

მახსოვს, ნიკა რურუას ვაჩვენეთ მისი ნამუშევრები პეკინში. ისე აღფრთოვანდა, რომ ლექსომ თავისი ნამუშევარი აჩუქა, ხარის საოცრად ექსპრესიული ქანდაკება, ისეთი, როგორიც თავად იყო.

ახლა აღარც ნიკაა და ლექსოც წავიდა. მასაც ვერის სასაფლაოზე დაკრძალავენ.

# გიორგი პაპკიაური: „ძალიან გთხოვთ მოგვაქციეთ ყურადღება“

მომღერალი და მხატვარი გიორგი პაპკიაური შესაბამის ორგანოებს მიმართავს და მის ქუჩაზე სახლის ნგრევასთან დაკავშირებით, ყურადღებას ითხოვს:

— ჩემს ქუჩაზე 5-6 დღეა ინგრევა აგურის სახლი, ჩამოიშალა კედელი და ლამის მსხვერპლით დასრულდა. ალბათ 10 წელია ავარიულია უკვე. მივმართეთ მერიას და გადასცეს გამგეობას და გამგეობიდან მოსულმა ხალხმა ეს უზარმაზარი სახლი შემოაკავა სიფრიფანა ლენტით. ვრეკავთ, ავტეხეთ განგაში, მაგრამ არავინ არაფერს აკეთებს, არადა ეს სახლი სავალ გზაზეა და სანამ, ღმერთმა დაგვიფაროს, მსხვერპლი არ იქნება, არავინ შეიბერტყს ყურს.

არის საგანგაშო მდგომარეობა! უბანში ბევრი ბავშვია და ამ მდგომარეობის გამო გარეთ ვერ ვუშვებთ! ბავშვებზე რომ არაფერი ვთქვათ, ჩვენც გვეშინია გავლა! სახლი ვიწრო ქუჩაზეა და ფიზიკურად გვერდს ვერ ავუვლით.

ძალიან გთხოვთ მოგვაქციეთ ყურადღება და მიხედეთ ამ პრობლემას, რათა ტრაგედია ავიცილოთ თავიდან!

# ქეთი დოლიძე დავით დოიაშვილს პლაგიატში ადანაშაულებს



რეჟისორი ქეთი დოლიძე მუსიკისა და დრამის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს დავით დოიაშვილს პლაგიატში ადანაშაულებს. საუბარია მუსიკისა და დრამის თეატრში დადგმულ ერთ-ერთ ბოლო სპექტაკლზე „შეყრა“.

**ქეთი დოლიძე:**

— პირველი ფოტო კრიმოვის სპექტაკლიდანაა, რომელიც 2013 წელს ჩამოვიტანეთ, მეორე ფოტო კი ქართული სპექტაკლის! ასე მოპარვა და პლაგიატი „არ ტეხავს“?!

# პეტრე კოლხი ქართველ მამაკაცებს შეგნებას უწუნებს



პოეტი პეტრე კოლხი ქართველ მამაკაცებს შეგნებას უწუნებს და საჯაროდ ამხელს:

— დედის გინება, მაგიდაზე ხელების ბრახუნი, ეჭვიანობა, უხეშობამდე მისული სიმკაცრე, დაუსრულებელი ჩხუბი და ყვირილი, უაზრო სადღეგრძელოების სერია, ქალის დამონება, ცოლის უცხოეთში მოჯამაგირეობით ნაშოვნი ფულით მხართეძოზე წამოწოლა, ქუჩური უნარ-ჩვევები არ არის ვაჟკაცობა...

ეს უფრო მხდალი, სუსტი, უუნარო, მხოლოდ ბიოლოგიურად, გარეგნული ნიშნებით შექმნილი მამაკაცის ნამდვილი სახეა!..

# გიორგი სუხიტაშვილმა შოთა რუსთაველის და აკაკი წერეთლის პორტრეტი სანაგვეზე იპოვა



მომღერალმა გიორგი სუხიტაშვილმა შოთა რუსთაველის და აკაკი წერეთლის პორტრეტები სანაგვეზე იპოვა.

სამწუხაროდ, ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ქართველი პოეტებისა და მწერლების სურათები სანაგვეზეა. XXI საუკუნის საქართველოში ილია ჭავჭავაძის შემდეგ სანაგვეზე შოთა და აკაკიც აღმოჩნდნენ.

# „დაწესებულება №16“ — რუსთავის ციხეზე გადაღებული ფილმი კინოთეატრებშია




„დაწესებულება №16“ — ასე ეწოდება რეჟისორ ალექსანდრე ქორიძის ფილმს, რომლის ნახვაც მაყურებელს კინოთეატრებში დიდ ეკრანზე უკვე შეუძლია.

ფილმის წარდგინება კინოთეატრ „ამირანში“ გაიმართა. ახალი დოკუმენტური ფილმი ქალაქ რუსთავში მდებარე ციხეზეა, რომელიც განსხვავდება საქართველოში დანარჩენი ციხეებისგან. აქ პატიმრებისთვის შექმნილია საუკეთესო პირობები. თუმცა მათ მაინც ყველაზე მთავარი და ფასდაუდებელი აკლიათ, თავისუფლება.

ფილმის გადაღება ორი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა და ის ციხის შიდა ცხოვრებას ახალი რაკურსიდან გვიჩვენებს.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# ქიმიკოსი კოლეგას რამდენიმე თვე წამლავდა



ამერიკის კალიფორნიის შტატის ქალაქ ბერკლიში დააკავეს მამაკაცი, რომელიც კოლეგის მოწამვლას ცდილობდა.

ერთ-ერთი ადგილობრივი კომპანიის თანამშრომელმა ქალბატონმა ჟუნ იუანმა ყურადღება მიაქცია უცნაურ სუნსა და გემოს, რომელიც მის მიერ სამსახურში მიტანილ წყალსა და საჭმელს ასდიოდა. საკვების მიღების შემდეგ ის თავს ცუდად გრძნობდა. ასევე ცუდად გახდა მისი ორი ნათესავი, რომლებმაც წყალი მისი ბოთლიდან მოსვეს. მათ სისხლში კადმიუმის მაღალი შემცველობა აღმოაჩნდათ.

ქალმა თავისი ოფისის სათვალთვალო კამერების ჩანაწერი შეისწავლა და აღმოაჩინა, რომ ფირმის სხვა თანამშრომელი, 32 წლის დევიდ სიუი, ორჯერ მივიდა მისი წყლის ბოთლთან და მასში რაღაც შეურია. ბოთლის შემოწმებამ აჩვენა, რომ მასში კადმიუმი იყო შერეული. ქალმა პოლიციას მიმართა.

სიუის განზრახ მკვლელობის მცდელობის, მოწამვლისა და სხეულის მძიმე დაზიანების მიყენების ბრალდება წაუყენეს. მას სამუდამო პატიმრობა ემუქრება. მოტივი, რამაც მას ამ დანაშაულის ჩადენისკენ უბიძგა, უცნობია.

# ქალმა შეყვარებული სხვა მამაკაცთან ღალატში გამოიჭირა



ამერიკის ტენესის შტატის ქალაქ ნეშვილის მცხოვრებმა ქალმა სასამართლოში შეიტანა სარჩელი თავისი ყოფილი შეყვარებულის წინააღმდეგ, რომელმაც მას შემთხვევით დაურეკა სხვა მამაკაცთან სექსის დროს. ქალმა, რომელმაც საკუთარი ვინაობის გამხელა არ ისურვა და მხოლოდ ინიციალებით პ.ჰ. შემოიფარგლა, განაცხადა, რომ გრეგორი კოული 2010 წელს გაიცნო, ხოლო 2014 წლიდან ისინი რეგულარულად ხვდებოდნენ ერთმანეთს. მათი ურთიერთობა ოთხი წელი გრძელდებოდა. მთელი ამ დროის განმავლობაში ქალი დარწმუნებული იყო, რომ შეყვარებული ჰეტეროსექსუალი და მისი ერთგული იყო. თუმცა 2018 წლის აპრილში კოულმა მას შემთხვევით იმ დროს დაურეკა, როდესაც თავად საყვარელს ხვდებოდა. მათი კავშირი დიდხანს გაგრძელდა და ამ დროს ქალს „უხამსი საუბარი და სხვადასხვა ქმედების გახმოვანება ესმოდა, რომელსაც კოული და მისი პარტნიორი მამაკაცი ახორციელებდნენ“. ქალი შეეცადა, შემთხვევით მოსმენილის თაობაზე კოულს დალაპარაკებოდა, მაგრამ ამ საკითხზე მსჯელობაზე მან უარი განაცხადა. ამის შემდეგ ქალმა ექიმს მიაკითხა და სქესობრივი გზით გადამდებ ავადმყოფობებზე ანალიზები ჩაიტარა. მას განუკურნებელი გენიტალიური ჰერპესის დიაგნოზი დაუსვეს. მისი მტკიცებით, კოულთან ურთიერთობამდე ის სრულიად ჯანმრთელი იყო. დაზარალებული ქალბატონი კოულისგან კომპენსაციის სახით მილიონ დოლარს მოითხოვს და მას საკუთარი ქმედებით მის შეურაცხყოფას, ემოციური ტანჯვის მიყენებასა და თაღლითობას სდებს ბრალად.

# ბრიტანელმა ადამიანობაზე უარი თქვა და ძაღლი გახდა

ინგლისის დიდი მანჩესტერის საგრაფოს ქალაქ სოლფორდში მდებარე მაღაზიის მენეჯერმა გადაწყვიტა, ადამიანი-ძაღლი გახდეს. 37 წლის კაზ ჯეიმსი მეგობრებსა და ცხოველებს უყეფს, საგნების პირით და არა ხელით ტარებას ამჯობინებს და ძაღლის ჯამიდან ჭამს საჭმელს. მას აქვს საყელურები, ქუჩაში ძაღლის სატარებელი ტყავის ქამარი და სპეციალური კოსტიუმი ძაღლის თათებითა და ნიღბით. რეზინის ორ კოსტიუმში მან 400 ფუნტი სტერლინგი გადაიხადა, ხოლო ბეწვისგან შეკერილ კოსტიუმში, რომლის ზომები სპეციალურად აუღეს და კანადაში დაუმზადეს — ორი ათასი ფუნტი.

— არასოდეს მიგრძნია თავი ადამიანად, — ამტკიცებს ჯეიმსი, — თავს ყოველთვის ძაღლად ვგრძნობდი, რომელიც თავის ადგილზე არ აღმოჩნდა.

მამაკაცი თვლის, რომ ძაღლის ხასიათები მის ქცევებში ექვსი წლის ასაკიდან გამოვლინდა. ის საკუთარ გრძნობებზე არავის ესაუბრებოდა, სანამ თავის მსგავს ადამიანებს არ შეხვდა. ამასთან, ჯეიმსი ირწმუნება, რომ მის ჰობის ფეტიშიზმთან არაფერი აკავშირებს და ყოველგვარი სექსუალური ქვეტექსტებისგან თავისუფალია.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

6 აპრილისთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.6904 | ევრო — 3.0256 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5454 | 100 რუსული რუბლი — 4.1231 |

## ამინდის პროგნოზი 6 აპრილისთვის





## „ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

## „მე მიყვარს კითხვა“

**9 აპრილიდან**

ჯოზეფ რადიარდ კიპლინგი

**მაუგლის ამბები**




ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

**12 აპრილიდან**




ლევ ტოლსტოი

**ომი და მშვიდობა**

ტომი I

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

**19 აპრილიდან**

ლევ ტოლსტოი

**ომი და მშვიდობა**

ტომი II

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი




**3 მაისიდან**




ლევ ტოლსტოი

**ომი და მშვიდობა**

ტომი III

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

**10 მაისიდან**

ლევ ტოლსტოი

**ომი და მშვიდობა**

ტომი IV

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი




**29 მარტიდან**




ოტია იოსელიანი

**ქალი გამოვიდა სალალატოდ**

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი


## იუმორი

ქმარი ტელეფონზე რეკავს და კითხულობს:

– ეს შენ ხარ, საყვარელო?

– არა, მე ვარ, – უპასუხა ცოლმა.

•••

მამა შვილს ეკითხება:

– აშოტ, სადაა ის პისტოლეტი, დაბადების დღეზე რომ გაჩუქე?

– არ მჭირდებოდა, გავყიდე და იმ ფულით როლექსის საათი ვიყიდე. აი, ნახე, ხომ მაგარია?

– ჰოო! აბა, წარმოიდგინე, შენთან მოვიდა ვიღაც ნაძირალა და გეუბნება: „მე შენი დედა..., მე შენი მამა..., მე შენი ბებია, პაპა და საერთოდ მთელი შენი ოჯახი...“ ამაზე შენ რას უპასუხებ: „ორის ნახევარია“???

•••

მოხუცმა ბადე ზღვაში გადააგდო და ოქროს თევზი დაიჭირა. თევზი ეკითხება:

– შენი ცოლი ცოცხალია?

– კი.

– მაშინ შემწვი.

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– რა მშვიდი და მომხიბვლელი ქალია, სად იპოვე?

– სადგურზე პოლიციელებს ეჩხუბებოდა...

•••

მამაკაცი ტელეფონზე რეკავს და კითხულობს:

– დილა მშვიდობისა, გივი, როგორ არის პროექტის საქმე?

– თქვენთვის ორი ამბავი მაქვს...

– კარგი, დაიწყეთ.

– საიდან მოიტანეთ, რომ კარგი ამბავი მაქვს სათქმელი?

•••

კონკია:

– ფეხსაცმელი იდეალურად მომერგო. ქორწილი როდის გვექნება?

პრინცი:

– ნუ ჩქარობ, ეს ჯერ ნახევარფინალი იყო, ახლა კი ბუზღალტერს მოგაზომებ...

•••

ბიჭი გოგოს ეუბნება:

– გამომყევი ცოლად!

– დილით გამოფხიზლდები და გადაიფიქრებ!

– გეფიცები, არ გამოვფხიზლდები!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## მოურინიო, შესაძლოა, იტალიაში ვიხილოთ



ჟოზე მოურინიო ჯერჯერობით კვლავინდებურად გუნდის გარეშეა, თუმცა ხშირად აკეთებს კომენტარებს და ამბობს, რომ სამწვრთნელო კარიერა არ დაუსრულებია.

ჟოზე სხვადასხვა ქვეყნებს ასახელებს და არც ერთ ვარიანტს არ გამორიცხავს. მას რამდენიმე იტალიური გუნდი ეპატიჟება, განსაკუთრებით ინტერი და რომა აქტიურობენ, სადაც შესაძლოა სეზონის ბოლოს სხვა მწვრთნელები ვიხილოთ.

მოურინიოს აქვს ინტერში მუშაობის გამოცდილება და მან იქ დიდ წარმატებას მიაღწია, ამიტომ ეს ვარიანტი სავსებით რეალურია.

## გიორგი ჩაკვეტაძემ ტრავმა მოიშუშა



ბელგიური გენტის ქართველმა ლეგიონერმა გიორგი ჩაკვეტაძემ ტრავმა მოიშუშა და 6 აპრილს ის, სავარაუდოდ, მოედანზე გამოვა.

ბელგიური გუნდის მწვრთნელმა განაცხადა, რომ ჩაკვეტაძე სრული დატვირთვით ვარჯიშობს და მას შეუძლია თამაში.

ჩაკვეტაძემ ტრავმა იანვრის ბოლოს მიიღო და ამ მიზეზით 2 თვე გამოტოვა. ჩაკვეტაძის გარეშე საქართველოს ნაკრებმა ორივე შეხვედრა წააგო და კიდევ ერთხელ გამოჩნდა, თუ რა მნიშვნელოვანია გიორგი ნაკრებისთვის.

## ზინედინ ზიდანი: „აზარი შესანიშნავი ფეხბურთელია“





მადრიდის რეალის მთავარმა მწვრთნელმა ზინედინ ზიდანმა ედენ აზარზე ისაუბრა და თქვა, რომ ბელგიელი შესანიშნავი ფეხბურთელია. ზიდანის აზრით, აზარი ნებისმიერ გუნდს გააძლიერებს:

– არ ვიცი, გადმოვა თუ არა ჩვენთან აზარი, მაგრამ დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ ის შესანიშნავი ფეხბურთელია. მის თამაშებს ჯერ კიდევ მაშინ ვუყურებდი, როცა ის საფრანგეთში გამოდიოდა და მან ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ედენ აზარი ზაფხულში რეალის ფეხბურთელი გახდება.

## რეალს ვარანის გაშვება არ უნდა



მადრიდის რეალი ყველაფერს აკეთებს, რომ ფრანგი მცველი რაფაელ ვარანი შეინარჩუნოს. ვარანს ხელფასს მოუმატებენ და მისი წლიური ანაზღაურება 9 მილიონი ევრო გახდება. ამ პირობებს ვარანი, სავარაუდოდ, დათანხმდება და რეალში დარჩება. ვარანის შეძენა ყველაზე მეტად პსჟ-ს და მანჩესტერ იუნაიტედს სურთ.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ამერიკელი თევზის მიმართ სასტიკი მოპყრობის გამო დააპატიმრეს

ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინის შტატში დააპატიმრეს მამაკაცი, რომელსაც აკვარიუმის თევზის მიმართ სასტიკი მოპყრობა ედება ბრალად. სახლის დათვალიერების დროს, სადაც ადრე 53 წლის მაიკლ რეი ჰინსონი ცხოვრობდა, ნახეს ჭუჭყიანი აკვარიუმი, რომელშიც თევზი დაცურავდა. ის საკვების ნაკლებობისა და ჰექსამიტოზისგან იტანჯებოდა. ეს არის დაავადება, რომელიც, შესაძლოა, მოვლა-შენახვის ცუდი პირობებით იყოს გამოწვეული. როგორც გაირკვა, სხვაგან გადასვლის შემდეგ ჰინსონმა ის ძველ ბინაში უყურადღებოდ მიატოვა.

შერიფის თანაშემწეებმა თევზი ზოომაღაზიაში გადაიყვანეს, სადაც მოუვლიან და ახალ პატრონს გამოუძებნიან. გამყიდველის თქმით, ეს ასტრონოტუსის ჯიშის თევზია, რომელიც 40 სანტიმეტრამდე იზრდება.

– ისინი ადვილად ექვემდებარებიან წვრთნას, აქვთ განსხვავებული თვისებები, ზოგიერთი აგრესიულიც კია, – განაცხადა ზოომაღაზიის თანამშრომელმა.

ჰინსონს ცხოველის უპატრონოდ მიტოვებისა და სასტიკი მოპყრობის სამ შემთხვევაში აქვს ბრალი წაყენებული.

**კ.ხ**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 2. ბრიტანული ყველი; 3. ტოლგვერდა და ირიბკუთხა პარალელოგრამი; 5. რკინის მადნიდან გამოდნობილი ნახშირბადის შემცველი ლითონი; 6. თონეში გამომცხვარი პური; 8. ზემო იმერეთის ისტორიული სახელწოდება; 11. დოღი გრძელ დისტანციაზე დაბრკოლებათა გადალახვით; 13. თეთრი ფერის ძველი ქართული სახელწოდება; 14. ძველბერძენი ფილოსოფოსი; 15. აღორძინების ეპოქის იტალიელი ფერმწერი; 19. ინგლისელი მწერალი, „რობინზონ კრუზოს“ ავტორი.

**თარაზულად:** 1. რაიონული ცენტრი აჭარაში; 4. ოქროსფერში ამოვლებული ძაფი; 7. რბილი ხაოს მქონე აბრეშუმის ქსოვილი; 9. მოყვარული მოტოციკლეტისტი; 10. მდინარე დუნაის ძველი სახელწოდება; 12. ბერძნული ფილოლოგიის მკვლევარი; 16. სპილენძის შემცველი ხასხასა მწვანე მინერალი; 17. თურქეთის პარლამენტი; 18. გასართობი თავსატეხი; 20. სტიბიუმის საბადო რაჭაში; 21. ციტრუსოვანი ხილი; 22. ფრანგული ავტომობილი.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**

